საკვირო გაზეთი

№31/6 (389) • 19 აგვისტო, 2016 წ.• პარასკევი • ფასი 1 ლარი

საკვირაო დამატება

ნიკოლოზ მჟავანაძე:

გიორგი მარგველაშვილმა, რეფერენდუმზე უარის თქმით, ფაქტობრივად, საქართველოში ქრისტიანების დევნა დაიწყო!

„ვფიქრობ, აღარავის ეპარება ეჭვი, რომ „რესპუბლიკელები“ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების წარმომადგენლები არიან“

ბასილ მკალავიშვილი:

ღია წერილი ყოფილ პროკურორს ვალერი გრიგალაშვილს

„ცენტრისტები“ კი გააძევეს საარჩევნო მოედნიდან, მაგრამ ვინ გააძევებს ცესკოდან მის თავმჯდომარეს თამარ ჟვანიას?

ცეზარ ჩოჩელი:

ზოგს ფულის კეთება ანიჭებს სიამოვნებას, მე ყველაზე მეტად ქარხნების მშენებლობა მხიბლავს...

„ვაპირებ, დამოუკიდებლად ვიყარო კენჭი მცხეთაში“

25 ივნისს ბათუმიდან ოდესის მიმართულებით მამალი „ნაცებით“ დაკომპლექტებული 65-კაციანი ჯგუფი გაფრინდა სააკაშვილთან საიდუმლო თათბირზე დასასწრებად

წარმოგიდგენთ ამ 65 კაცის სიას, მოგვიანებით კი სააკაშვილის შავბნელი საქმიანობის ამსახველ სხვა დოკუმენტებსაც გაგაცნობთ

სკანდალური ინტერვიუ ოდესელ ქალბატონთან, რომელიც ოდესის ქართველი გუბერნატორის შესახებ შემაძრწუნებელ ფაქტებს გვიმხელს

25 ივნისს ბათუმიდან ოდესის მიმართულებით მამალი „ნაცებით“ დაკომპლექტებული 65-კაციანი ჯგუფი გაფრინდა სააკაშვილთან საიდუმლო თათბირზე დასასწრებად

წარმოგიდგენთ ამ 65 კაცის სიას, მოგვიანებით კი სააკაშვილის შავბნელი საქმიანობის ამსახველ სხვა დოკუმენტებსაც გაგაცნობთ

უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატმა დიმიტრი გოლუბოვმა – სააკაშვილი ღიად ამხილა, რომ 190 000 გრივნა სასტუმრო „ბრისტოლში“ ფურშეტისთვის დაიხარჯა, ტელეკომპანია „ინტერში“ სამი დღის მანძილზე სააკაშვილის პირადი პიარისთვის 3 მილიონი გრივნა გადაირიცხა, მეტიც, ოთხი მილიონი გრივნით შეიძინეს 6 ავტომობილი „რეფორმატორების“ კორტეჟისთვის. 30 000 საწვავში დაიხარჯა; ფონდის ფულით შეიძინეს სააკაშვილის პირადი მცველების გიორგი რუბაშვილისა და გიორგი ცინცაძის თვითმფრინავის ბილეთებიც. 31 ოქტომბერს ჯარისკაცების პროტეზისთვის განკუთვნილი ფულით რომიდან სტამბოლის გავლით ოდესაში ჩამოიყვანეს მომღერალი სოფო ნიჟარაძე, 3 ნოემბერს ეს ქალბატონი კიდევ ერთხელ ჩამოფრინდა ოდესაში იმავე ფონდის სახსრებით. სააკაშვილი საქველმოქმედო ფონდს ძარცვავს. ყოველდღიურად ასე ხდება, მაგრამ რაც მთავარია, სამხედროების სარეაბილიტაციო ფონდის ხარჯზე იმგზავრა ოდესის შს სამმართველოს უფროსმა, მილიციის გენერალ-მაიორმა ლორთქიფანიძემ, ეს კი კორუფციული დანაშაულის გამოვლინებაა. ამ ადამიანმა უნდა დაამარცხოს მილიციაში კორუფცია? აბსურდია, სააკაშვილი ბანდიტია, მისი გუნდის წევრები კი — რეკეტიორები. სამწუხაროდ გოლუბოვის მხილებას მიუხედავად დიდი რეზონანსისა გაგრძელება არ მოყვა. მიმდინარე წლის ოცდაექვს მაისს უკრაინის პროკურატურამ საოლქო ადმინისტრაციაში ჩხრეკა ჩაატარა, რის შემდეგაც მიხეილ სააკაშვილმა რიგი მწვავე განცხადებები გააკეთა. პარალელურად მასმედიაში გაჩნდა ინფორმაციები, რომელთა თანახმად, ფონდში „ოდესის კეთილდღეობისათვის“, რომელსაც სააკაშვილის თანამოაზრე. ნიშნიანიძე ხელმძღვანელობს, მსხვილი თანხები უკანონოდ ირიცხებოდა, „შენაწირების“ სახით იმ კომპანიებისაგან, რომლებსაც ოდესის საბაჟოში ტვირთების სწრაფი განბაჟება სურდათ. ნიშნიანიძის სამუშაო ადგილზე და საცხოვრებელ სახლს ჩხრეკა ჩაუტარდა. როგორც გაირკვა, ამოღებულ იქნა დოკუმენტაცია, რომელიც სავარაუდოდ, უკანონო ფინანსურ ოპერაციებს ადასტურებდა. საუბარია დაახლოებით 20 მილიონ გრივნაზე...

ილია ბურჯანაძე

გურამ კაკალაშვილი

კახაბერ ასკურავა

საინტერესოა, სააკაშვილის და მისი გუნდის უკანონო ქმედებებს საქართველოშიც, მსუბუქი აღელვებით ხვდებოდნენ დასავლეთში. მისმა მეუღლემ სანდრა რულოვსმა კი ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა მიშა ოდესის და საქართველოს მართვას ერთდროულად შეძლებსო!

დიახ, მიშას დასავლეთიდან ხშირად სტუმრობენ, მაკ-კეინიც მათ შორის. რა ახალ უბედურებას ხლართავენ უკრაინის წინააღმდეგ ვინ იცის. პოპულისტი მიშა ხალხს ატყუებდა თითქოს ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა მოკრძალებულად. სინამდვილეში პრეზიდენტის აპარტამენტში ცხოვრობს, რასაკვირველია ბიუჯეტის ხარჯზე. სხვათაშორის მას ძალიან ხშირად სტუმრობენ საქართველოდან. ხშირ შემთხვევაში სტუმრებიც პრეზიდენტის რეზიდენციაში რჩებიან. რასაკვირველია ბიუჯეტის ხარჯზე. არც ძვირადღირებულ რესტორნებში „გრიალს“ იკლებს თქვენი „ყოფილი“. სამუშაო საათებშიც მშვენივრად ილხენს.

ალბათ მეგობრები სტუმრობენ, ან ოჯახის წევრები!

არა, სტუმრების რაოდენობა ორმოციდან სამოცამდე მერყეობს. წარმოგიდგენიათ თუნდაც ორმოცი ადამიანის მასპინძლობა? „ოდესის კეთილდღეობისათვის“ ფონდის დოკუმენტებში (სარწმუნო წყარომ მაცნობა) რომ არსებობს ისეთი მტკიცებულებები, რომ მიშას უვადო პატიმრობა არ ასცდებოდა, თუმცა არ არსებობს პოლიტიკური ნება და ისიც აგრძელებს ოდესის ფეოდალურ მართვას.

საქართველოდან სტუმრების რაოდენობამ გამაოგნა, ვინ აფინანსებს ამ რაოდენობის ადამიანების მოგზაურობის ხარჯებს, იქნებ არასწორი ინფორმაცია გაქვთ და საქართველოდან ტურისტული ჯგუფები სტუმრობენ ოდესას.

რას ბრძანებთ, ინფორმაციას სარწმუნო წყარო მაწვდის, ვაკონკრეტებ, თვეში რამოდენიმეჯერ სტუმრობენ მიშას ჯგუფები საქართველოდან. აღნიშნული „მოგზაურობის“ დამფინანსებლები მას უხვად ყავს. ოლიგარქი რომელიც მის ყულაბას სოლიდური თანხით არ ავსებს მისი სიტყვებით „რუსეთის აგენტი და პუტინის კაცია!“ ამბობენ, პოროშენკოს „მტერი“კალამოისკიც შემოირიგაო. მისთვის მთავარია „გაწუროს“თავის სასარგებლოდ ოლიგარქები, ამ შემთხვევაში მტრის სტატუსი ეხსნებათ. მიშას მეგობარია სირიელი მილიარდელი ადნან კივანი, მის შესახებ არამარტო ჟურნალისტები, უბრალო ხალხიც მხოლოდ ჩურჩულით ლაპარაკობს. მასთან შეხმატკბილებლად „მუშაობენ“ მიშას თანამებრძოლი ქართველებიც. ადნან კივანთან კონფლიქტში შესვლას მიშამდეც ერიდებოდნენ, რადგან იგი ყველაფერზე წამსვლელია და სერიოზული „დამსჯელი რაზმი“ ყავს. ოდესის გუბერნატორის ოქროს თევზი, კივანიც ნახულობს სარგებელს მიშასგან, მას არაერთი საოცნებო ობიექტი გადაეცა სიმბოლურ ფასად. ამბობენ კივანი აფინანსებს მიშას წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციის დამრბევ ზონდერებსაც. ცნობილი ფაქტია, რომ ოდესის მერს რომლის არსებობაც მიშას აღიზიანებს კივანმა ქურდულად „საქმე გაურჩია“... ოდესაში სააკაშვილი ხალხს უმტკიცებს, რომ კრიმინალს ებრძვის და სინამდვილეში ქართველი კრიმინალების ჯგუფები დათარეშობენ ამბობენ, მათ ოდესის პირველი პოლიციელი ლორთქიფანიძე მფარველობს. ჩემს ქალაქს არ ახსოვს ასეთი განუკითხაობა რაც ეხლა ხდება.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ მიშას ათეულობით „ტურისტი“ თვეში რამოდენიმეჯერ სტუმრობს საქართველოდან. შეგიძლიათ მითხრათ ვინ არიან ისინი და თუნდაც რამოდენიმე სახელი და გვარი დამისახელოთ?

– მიშა თვლის, რომ მისი სტუმრები პოლიტიკოსები არიან თუმცა მწყემსებს უფრო გვანან. რა ნიშნით არჩევს „ტურისტებს“ ძნელი სათქმელია. მაქვს ინფორმაცია და დოკუმენტაციაც ვინ უკვეთავს და იხდის მგზავრობის ხარჯებს. მაგალითად მიმდინარე წლის 14 ივნისს დაიჯავშნა ბათუმი ოდესის რეისზე სამოცდახუთი ადგილი. 25 **ივნისს ცამეტ საათზე და ათ წუთზე ბათუმი-**

ნოდარ ბურდილაძე

დიმიტრი კორიფაძე

სიმონ პარუნაშვილი

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარედაქციო მასალები.

გარსევან ბუხნიკაშვილი | ამირან ლომთაძე | შაქრო ტერტერაშვილი | არსენ კარაპეტიანი | ბესიკ ბექაური

დან გამოფრინდა სამოცდახუთი „ტურისტი“ რომლებმაც ოცდაექვს ივნისს თვრამეტ საათზე და ათ წუთზე დატოვეს ოდესა.

ალექსანდრამ დოკუმენტიც მაჩვენა და სიაც გადმომცა, ერთი ჩაკითხვით სამოცდახუთ კაციან სიაში რამოდენიმე ცნობილი ნაცი „აღმოვაჩინე“ თუმცა „ახლოს“, რომ გავეცანი უკლებლივ ყველა მამალი ნაცი აღმოჩნდა. საინტერესოა რა თათბირებს ატარებს მაღალი“ სხვა რომ ვერ ჩაუტარებს მის „სამწყოს“.

აი, სააკაშვილის ივნისის სტუმრების სიაც:

1 - **გოჩა კუპრავა,**
2 - **გელა დეკანაძე,**
3 - **ოთარ სირაძე,**
4 - **ვაჟა წოწკოლაური,**
5 - **გიორგი ხურცილავა,**
6 - **დავით კირკიტაძე,**
7 - **მანუჩარ ფანგანი,**
8 - **ილია პატარაია,**
9 - **თენგიზ გუნავა,**
10 - **რამაზ კერეჩაშვილი,**
11 - **ვახტანგ გეწაძე,**
12 - **ზურაბ ოზგებიშვილი,**
13 **დავით დარსმელიძე,**
14 - **რამაზ გულუა,**
15 - **მამუკა ჭოხონელიძე,**
16 - **ავთანდილ გაბელია,**
17 - **ლაშა დამენია,**
18 - **ზაალ გოროზია,**
19 - **ვახტანგ დარსმელიძე,**
20 - **თამარ დალაქიშვილი,**
21 - **ბაკურ მგელაძე,**
22 - **ემზარ დიმიტრაძე,**
23 - **რამინ ბაირამოვი,**
24 - **აჰმედ იმაკულიევ,**
25 - **მამუკა ჩიქოვანი,**
26 - **თორნიკე ავალიშვილი,**
27 - **პროკოფი ჩიკვილაძე,**
28 - **ზურაბ ცერცვაძე,**
29 - **მამუკა ცაგარეიშვილი,**
30 - **ზურაბ ჯიბუხაია,**
31 - **ემზარ შუბლაძე,**
32 - **გელა ჩიკვილაძე,**
33 - **ტარიელ ფანჩულიძე,**
34 - **პაატა ლეჟავა,**
35 - **გიორგი რობაქიძე,**
36 - **გიორგი თევდორაძე,**
37 - **გიორგი ბოტკოველი,**
38 - **ლევან ბაღაშვილი,**
39 - **გარსევან ბუხნიკაშვილი,**
40 - **ვახტანგ ქვათაძე,**
41 - **გიორგი ბაბაკიშვილი,**
42 - **გოჩა სიბაშვილი,**
43 - **გურამ კაკალაშვილი,**
44 - **ზურაბ დუშმანაშვილი,**
45 - **შაქრო ტერტერაშვილი,**
46 - **სიმონ პარუნაშვილი,**
47 - **ვაჩაგან პოდოგიან,**
48 - **ბესიკ ბექაური,**
49 - **ოგანეს ალექსანიან,**
50 - **არსენ კარაპეტიან,**
51 - **დიმიტრი კორიფაძე,**
52 - **დავით მჟავანაძე,**
53 - **კახაბერ ასკურავა,**
54 - **რომან მუკბანიანი,**
55 - **ნოდარი ბურდილაძე,**
56 - **ამირან ლომთაძე,**
57 - **ბადრი ბასიშვილი,**
58-**ალექსი გოგლიძე,**
59 - **ილია ბურჟანაძე,**
60 - **ნუგზარ მონიაშვილი,**
61 - **როინ მახარობლიძე,**
62 - **სოსლან ზოიძე,**
63 - **ელგუჯა ბაგრატიონი,**
64 - **თეიმურაზ დუმბაძე,**
65 - **ვაჩაგან პოდოგიან.**

ეჰ, არ უყვარდა თბილისს მიშა და ამ სიაში არცერთი თბილისელი არ მოხვდა. თუმცა ეს მხოლოდ ერთი „ტურისტების“ ჯგუფის სიაა. იმედი მაქვს სხვა სიების გამოქვეყნებასაც არ დავაყოვნებთ. ვინ უზრუნველყო ამ ჯგუფის ერთდღიანი ტურის დაფინანსება, როგორ „შეეყარენ ძებნილ ბელადს“ რა უთხრეს, რას დაჰპირდა მაღალი, ამ საკითხებს ამჯერად არ ჩავუღრმავდები. ვფიქრობ უფრო საინტერესო სიის მოგზაური წევრების „დამსახურებების“განხილვაა.

სოსლან ზოიძე - მიმდინარე წლის თებერვალში ციხისძირში „მშვიდობიანი აქციის“ აქტიური მონაწილე ნაცმოძრაობის წევრი.

ნოდარ დუმბაძე, ელგუჯა ბაგრატიონი - ციხისძირის „მშვიდობიან აქციაზე“ დაპატიმრებულ გათავისუფლებული ენმ-ს წევრები

დიმიტრი კორიფაძე - ყოფილი გამგებლის მოადგილე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

დავით მჟავანაძე - ოზურგეთის ენმ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე

კახაბერ ასკურავა - ლანჩხუთის გამგებლის ყოფილი მოადგილე. ენმ-ს აქტიური წევრი

ნოდარი ბურდილაძე - ონის მუნიციპალიტეტი. ენმ-ს აქტიური წევრი

ამირან ლომთაძე - ამბროლაურის ერთიანი ნაცმოძრაობის თავმჯდომარე ოდესიდან დაბრუნებულმა იმ დღესვე სოციალურ ქსელში ასეთი განცხადება გააკეთა - „დაიჯერეთ ჩემო მეგობრებო, რომ ბიძინას თამაშში აღმოჩნდით თქვენდაუნებურად. 1 ხმაც რომ „დაიკარგოს“ ბიძინას სასარგებლოდ და ეს გადამწყვეტი აღმოჩნდეს 8 ოქტომბერს, თქვენს სინდისზე იქნება ქვეყნის მომავალი უბედურება!“

ილია ბურჯანაძე - ქარელის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარული დეპუტატობის კანდიდატი.

არსენ კარაპეტიანი – ახალქალაქში ნაცმოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატი.

ბესიკ ბექაური - ასპინძის ყოფილი გამგებლის მოადგილე.

სიმონ პარუნაშვილი - ადიგენის ყოფილი გამგებელი.

მამუკა ჩიქოვანი - რუსთავის ნაცმოძრაობის მაჟორიტარი.

აჰმედ იმამკულიევი

დავით მჟავანაძე

აჰმედ იმამკულიევი - მარნეულის ნაცმოძრაობის მაჟორიტარი

გიორგი რობაქიძე - ბაღდათი ხარაგაულის ნაცმოძრაობის მაჟორიტარი.

გურამ კაკალაშვილი, შაქრო ტერტერაშვილი, გიორგი ბოტკოველი, გარსევან ბუხნიკაშვილი - ნაცკახური კლანი.

მამუკა ჭოხონელიძე - ხობის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ზურაბ ჯიბუხაია - ხონის გამგებლობა „ნდომებია“ მაგრამ... ვინ იცის რას დაპირდა მიშა.

პროკოფი ჩიკვილაძე - ჭიათურის ყოფილი გამგებელი ამჟამად მაჟორიტარი.

მოკლედ, წარმოდგენილ სიაში ყველა ნაცმოძრაობის აქტიური წევრები არიან. საინტერესოა წლების წინ თუ ძებნილ ემზარ კვიციანთან განხორციელებული სატელეფონო კავშირის გამო შეიძლებოდა პირის მიმართ პატიმრობის შეფარდება, მაღალი ჩვენ ქვეყანაში აღარ იძებნება?რა ჯადოსნური ძალა იცავს მას, ჩადენილი ყველა უკანონობის პასუხისმგებლობისაგან. როდის დასრულდება ეს მომაბეზრებელი, გაშიფრული შოუ?

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ნიკოლოზ მჟავანაძე:

გიორგი მარგველაშვილმა, რეფერენდუმზე უარის თქმით, ფაქტობრივად, საქართველოში ქრისტიანების დევნა დაიწყო

„ვფიქრობ, აღარავის ეპარება ეჭვი, რომ „რესპუბლიკელები“ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების წარმომადგენლები არიან“

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარის, ადვოკატ ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, პრეზიდენტი მარგველაშვილის უარი რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით, მოულოდნელობა არ ყოფილა. უბრალოდ, მისმა მრჩეველებმა ვითომდა გამოსავალი მოძებნეს, რომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება და თითქოს ოკუპანტებს ამით

სალაპარაკო მიეცემოდათ.

ნიკოლოზ მჟავანაძე: „სამწუხაროდ, არც წინა არჩევნები და ნატოში შესვლასთან დაკავშირებით პლებისციტი ჩაგვიტარებია მთელი საქართველოს მასშტაბით, ვერც ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს ჩავატარებთ და მარგველაშვილის ჭკუით, ისინიც არალეგიტიმური გამოდის? პრეზიდენტსაც რომ იგივე მოემიზეზებინა, რასაც ქართველი ფსევდოლიბერალები ამბობენ, რასაც შინაგანად თვითონაც ეთანხმება, უხერხული იქნებოდა. ჩემი აზრით, მისი უარი ქართველი ხალხისთვის სულში ჩაფურთხებაა, რადგან 200.000-ზე მეტმა ადამიანმა ხელმოწერით დაადასტურა თავისი თანხმობა რეფერენდუმის ჩატარებაზე, ამ ხალხის უკან კიდევ ასობით ათასი ადამიანი დგას, ბევრმაც ხელი იმ მარტივი მიზეზის გამო ვერ მოაწერა, რომ საჭირო აღარ იყო. სამწუხაროდ, საქართველოს სახელისუფლებო იერარქიაში არიან ძალები, საპარლამენტო უმცირესობა, სახელისუფლებო კოალიციის ყოფილი წევრები, სახალხო დამცველის ოფისი, რომლებიც პრეზიდენტივით აზროვნებენ. წინ უარესი გველის, რადგან იდეა, კონსტიტუციაში შესატან ჩანაწერთან დაკავშირებით, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ნებაყოფილობითი ურთიერთობაა, თურმე რუსული ნარატივი ყოფილა, ხოლო ამ იდეის მხარდამჭერები რუსეთის ინტერესებს ემსახურებიან. აქედან გამომდინარე, თამამად შემიძლია ვთქვა, საქართველოში ქრისტიანების დევნა დაიწყო, ის ხალხი, ვინც ქრისტიანული მორალით ცხოვრობს, ამ ღირებულებებს სცემს პატივს, ნაციონალებმა, რესპუბლიკელებმა, ბურჭულაძემ, მარგველაშვილმა და არასამთავრობო სექტორის ნაწილმა რუსეთის სპეცსამსახურების აგენტებად გამოაცხადა. აბა, სხვას რას ნიშნავს მათი პოზიცია? ჩვენ იმიტომ ვითხოვთ კონსტიტუციაში ჩანაწერის გაკეთებას, რომ ჩვენს კონსტიტუციაში საკმაოდ ბუნდოვანი ჩანაწერია ოჯახის დეფინიციასთან დაკავშირებით, საფრთხე კი რეალურია, რადგან ევროპა ფაქტობრივად გაცისფრდა, ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში მოხდა ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაცია. ეს რეალურად სოდომ-გომორის ცოდვის დაშვებაა, მოგეხსენებათ, ეს ქალაქები იმიტომ განადგურდა, რომ მამათმავლობის ცოდვა იყო მოდებული. ქართველი ფსევდოლიბერალები იმას კი არ ამბობენ, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება არასდროს მოხდება, ეს საკითხი ჯერ არ დგასო. ამას იმიტომ ამბობენ, რომ კარგად იციან, სანამ ჩვენი და ჩვენი შვილების თაობა ამ ქვეყანაზე იარსებებს, ამგვარი ქორწინების ლეგალიზებას ვერ შეძლებენ, მათ მომავალზე აქვთ გათვლა. აკი სოროსმა სახელმწიფო უნივერსიტეტში ინტელიგენციაზე შეხვედრისას თქვა კიდეც, ჩვენ თქვენთან და თქვენს შვილებთან კი არ გვინდა დიალოგი, არამედ თქვენს შვილიშვილებთანო. თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ესენი არიან გაბატონებული, დეისაძეებს, მშვენიერაძეებს, საერთოდ ფსევდოლიბერალურ ფრთას მიყავს „პარადი“ და ხალხს ტვინს უბრუნებენ. მასმედია ხომ მართლმადიდებლობის ლანძღვითაა გაჯერებული, ცდილობენ ეკლესიას რეიტინგი დაუგდონ, რადგან თუ ეკლესიის რეიტინგი განადგურდა, მერე ადვილად შეძლებენ თავიანთი ბინძური მიზნების განხორციელებას. პრეზიდენტ მარგველაშვილმა იმის მაგივრად, რომ ქართველი ხალხის ნება აღესრულებინა (ბოლოს და ბოლოს ხალხიც დაწყნარდებოდა), ფაქტობრივად აღიარა, რომ მხოლოდ ფსევდოლიბერალების, იმ ხალხის პრეზიდენტია, რომლებმაც ფერადფერადი დროშები აფრიალეს პარლამენტში. იგი მართლაც არ არის საქართველოს მოსახლეობის პრეზიდენტი, უცხო ქვეყნების ნების აღმსრულებელია. ახლა ერთი ამბავი რომა აქვთ ატეხილი რუსული სპეცსამსახურების აგენტობაზე, რა მნიშვნელობა აქვს რომელი ქვეყნის აგენტი იქნები, პირადად ჩემთვის, მნიშვნელობა არ აქვს ვინმე რუსეთის აგენტი იქნება თუ ამერიკის, აგენტი აგენტია, ქვეყანა ქართული უნდა იყოს. „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო კონსტიტუციაში ხსენებული ჩანაწერის გაკეთება, რადგან დიდი ზეწოლა იყო ამერიკის მხრიდან, ამ ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტმა პირდაპირ თქვა, რომ ყველაფერს გააკეთებენ, რათა ყველა ქვეყანაში მოხდეს ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზება. ახლახანს გეიწყვილების სიმბოლურად დაქორწინებაც მოხდა თეთრ სახლში. როდესაც საქართველოში თავდაცვის მინისტრს ვერ იჭერენ, პრემიერ-მინისტრს ამერიკის დაკვეთით ცვლიან, „ქართული ოცნება“ საარჩევნო სიებსაც კი ამერიკელებს უთანხმებს, როგორ ფიქრობთ, ასეთ სტრატეგიულ საკითხს სხვაგვარად გადაწყვეტენ? სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლება დასავლური, უფრო ზუსტად ამერიკული ზეწოლის მძევალია. შემდგომი პარლამენტიც სავარაუდოდ, ისევ „ჭრელი“ იქნება, „ქართული ოცნება“ კვლავ ვერ მოიპოვებს საკონსტიტუციო უმრავლესობას, ნაციონალებთან ერთად ალბათ, ბურჭულაძის პარტიაც შევა პარლამენტში. პაატა ბურჭულაძის გამკვირვებია, კაცი რომელიც თავს დებს, რომ მახათას მთაზე ეკლესიას აშენებს, გვარწმუნებს ეკლესიურ პიროვნება ვარო, რატომ ეწინააღმდეგება კონსტიტუციაში ოჯახის დეფინიციის მგაფიო განსაზღვრას? აქედან ჩანს, რომ ბურჭულაძეც ფარისეველია, ეკლესია მას მხოლოდ რეიტინგისთვის, ქულების ჩასაწერად ჭირდება, რადგან შეუძლებელია ეკლესიური ადამიანი სოდომ-გომორის ცოდვის დაკანონებას უწყობდეს ხელს. კუდის უფროსის ყოფილი მოადგილე სოსო თოფურიძე, რომელმაც საზოგადოებას თავი ტელედაჭერებით დაამახსოვრა, ხშირად მიდიოდა

სამებაში, ხატიც შესწირა, რამდენადაც ვიცი, ეკლესიაც ააშენა. მიხეილ სააკაშვილსაც აქვს ფული გადარიცხული ეკლესიების ასაშენებლად, ვინმე იტყვის, რომ თოფურიძე და სააკაშვილი დიდად მორწმუნე ადამიანები არიან, როცა ეკლესიებში მოსასმენი აპარატურა ჰქონდათ დამონტაჟებული და მათი მმართველობისას უდიდესი ზეწოლა ხორციელდებოდა პატრიარქზე. ფაქტობრივად, ყველამ მოახდინა თვითლუსტრაცია, რესპუბლიკელებზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი, ვფიქრობ, აღარავის ეპარება ეჭვი, რომ „რესპუბლიკელები“ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების წარმომადგენლები არიან.

დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი ამ პერსონებს მალე გამოუტანს განაჩენს, „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“ საქართველოში ვერ გაიმარჯვებს, ქართველი ხალხი ამის უფლებას არ მისცემს და საბოლოოდ დამარცხდებიან. რაც შეეხება პრეზიდენტ მარგველაშვილს, ის დუშეთშიც ველარ ჰპოვებს სიმშვიდეს, რადგან ის ფაქტობრივად გასულია სამართლებრივი სივრციდან. ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ ამ ადამიანის პრეზიდენტად არჩევა კი არა, ტელევიზიით გამოჩენაც სამარცხვინო იყო, ისეთ სისულელეებს ამბობდა. ჯერ პლასტელინობაზე ჰქონდა პრეტენზია, მერე

მრავალფეროვანი სექსუალური გამოცდილებით გვაწონებდა თავს, ასეთი განცხადებების გამო, ნებისმიერ დასავლურ ქვეყანაში პრეზიდენტის იმპიჩმენტი მოხდებოდა. „ქართული ოცნება“ ყველას გვპირდებოდა ოცნების ახდენას, სინამდვილეში მარგველაშვილს აუხდა, კაცმა, რომელსაც არავინ იცნობდა, ერთ დღეს პრეზიდენტად გაიღვიძა. მსოფლიოში ალბათ არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც ასეთი სამარცხვინო პრეზიდენტი ჰყავს.

- **რესპუბლიკელები კონსტიტუციაში ოჯახის არსის მკაფიო განსაზღვრებას ეწინააღმდეგებიან, სამაგიეროდ, მათი ლიდერი უსუფაშვილი კონსტიტუციაში ქართველი ხალხის სურვილად იმის ჩაწერასაც ითხოვს, რომ სრულფასოვანი ადგილი დავიმკვიდროთ დემოკრატიული სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და თანაშრომლობის ევროატლანტიკურ სისტემაში.**

- ვფიქრობ, იმ ქვეყანაში, რომლის 20%-იც რუსეთს აქვს ოკუპირებული, დანარჩენ 80%-ს ამერიკელები განკარგავენ, რადგან ვერცერთი საკითხი ვერ წყდება ამ უკანასკნელების თანხმობის გარეშე. გახსოვთ ალბათ, პუტინმა როცა თქვა დავილაპარაკოთო, მარგველაშვილმა იმის მაგივრად რომ ეთქვა, შეხვედრისთვის მზად ვართო, ჩვენს დასავლელ პარტნიორებს შეეკითხებითო. ბოდიში მომითხოვია და ტუალეტში რომ გადიან, მგონი, იმასაც ამერიკელებს უთანხმებენ. აქედან გამომდინარე, უსუფაშვილის მოთხოვნა სულაც არ იყო ალოგიკური, ეს პარტიები, არასამტავრობო სექტორის ნაწილი, ექსპერტები დაფინანსებას ამერიკიდან იღებენ, მოგეხსენებათ, ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს, ესენიც დამფინანსებლის დაკრულზე ცეკვავენ. „პატრონებმა“ ხვალ რომ უთხრან, ევრაზიულ კავშირში შედითო, ეჭვი არ შეგეპაროთ, დიდი „ენთუზიაზმით“ აიტაცებენ ამ მითითებას, რადგან ამათ სინდის-ნამუსი არ გააჩნიათ. უსუფაშვილი ადრე რუსეთში დაბრძანდებოდა და როცა „კავკასიის“ ეთერში დებატების დროს, სოზარ სუბარმა ბრალი დასდო უსუფაშვილს, მოსკოვში ფულისთვის წახვედიო, ამ ბატონმა რატომღაც ხმა ვერ გასცა. ესენი არიან თანამედროვე კიკუები, უკვე გახდილი აქვთ და თან არაფრის რცხვენიათ, საერთოდ არ ანაღვლებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. რომელ ნატოზეა საუბარი, როცა თურქეთი იქიდან გამოდის, საფრანგეთიც იგივე აზრზეა, ბრიტანეთი ევროკავშირიდან გადის, ამ დროს ჩვენ გვეუბნებიან, რომ არცერთ ამ კავშირში არ მიგვიღებენ. ამხელა ქვეყანა გვემეზობლება, რომლის შიშით ლამის ნაბიჯს ვერ დგამს ვერავინ და ჩვენ ვინ მიგვიღებს? სადავო ტერიტორიებზე უარიც რომ ვთქვათ (თეორიულ დაშვებას ვგულისხმობ), მაინც უარს გვეტყვიან, რადგან საქართველოს გამო, რუსეთს არავინ გადაიკიდებს. ჩვენ დღეს მხოლოდ სადგისის ფუნქციის მატარებელი ქვეყანა ვართ, რომ რუსეთი გავაღიზიანოთ, თუმცა არ ანაღვლებთ, ამ გაღიზიანებით ტერიტორიებს რომ ვკარგავთ. დღეს თუ აფხაზეთი და სამაჩაბლო გვაქვს დაკარგული, ამ უგუნური პოლიტიკით, ხვალ შეიძლება სხვა ტერიტორიებიც დავკარგოთ და მერე შეიძლება თქვან, თავისუფლებისთვის ვიბრძვითო ან სხვა ამგვარი სისულელეები. ქვეყანას ის საგარეო კურსი უნდა ჰქონდეს, რაც მისთვის მომგებიანი იქნება, აზერბაიჯანს, სომხეთს, სხვა ქვეყნებსაც კარგი ურთიერთობა აქვთ რუსეთთანაც და დასავლეთთანაც, ჩვენ არა, მაინც და მაინც კოლონიურ მდგომარეობაში უნდა ვიყოთ. იმ ქვეყანის პრეზიდენტს არ ვხვდებით, რომელსაც ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს, ამ ტერიტორიების დაბრუნებაზე კი არა, მარტო ბადრიჯნის და მწვანილის შეტანაზე მიდის საუბარი. ამიტომ არ არის გასაკვირი უსუფაშვილის განცხადება, რადგან ყველა ეს პოლიტიკური პარტიები მარიონეტები, იმ ძალის მართულები არიან, რომელსაც სამწუხაროდ საქართველოს 80% აქვს „დაპყრობილი“, ვერავინ ვერაფერს გაბედავს, მედიაც ამათია, პარლამენტიც და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებიც. ცოტა ხანში ქრისტიანების დევნა უფრო აშკარად დაიწყება, რადგან ოჯახის სიწმინდის დაცველები, თურმე რუსეთის პოლიტიკას ატარებენ, რუსული სპეცსამსახურების აგენტები არიან, გამოდის ჩვენც რუსეთის აგენტები ვყოფილვართ და ალბათ მალე ჩვენზეც დაიწყებენ ნადირობას. ამ „პროგრესულებს“ სწორედ ეს უნდათ, საქართველო უქართველებოდ, მერე ალბათ, ჩამოასახლებენ ე.წ. თურქ-მესხებს, სხვა ათასი რჯულის ადამიანს და ამათ დარჩება საქართველო. 2012 წლის ოქტომბრამდე თუ ციხეებში აუპატიურებდნენ ხალხს, დღეს ამგვარი პოლიტიკით მთელ ქვეყანას „აუპატიურებენ“, მთელ ქვეყანას გვაქვს ნამუსი ახდილი.

მე იმის იმედი მაქვს, რომ, როდესაც ქართველი ხალხი ასე ვთქვათ, ბოლო მიჯნაზე მივიდოდა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა ქვეყნის ბედი, იღვიძებდა თვითგადარჩენის ინსტიქტი და დამყრობელს საკადრისს მიუზღავდა ხოლმე. საზოგადოებამ ხელისუფლებაში ეროვნული ძალები უნდა მოიყვანოს, რომლებიც არც რუსეთის მოსანები იქნებიან და არც ამერიკელების, უნდა გადავაგდოთ ის კოლონიური უღელი, რომელიც იძულებით დაგვადგეს. დღეს ძალიან რთულია ეროვნული ძალებისთვის ხელისუფლებაში მოსვლა, რადგან, მედია, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს პოლიტიკური ძალის გამარჯვებას, როგორც გითხარით, ლამის მთლიანად ამათ ხელშია, არავის გააჭაჭანებენ, თუ ფსევდოლიბერალების იდეების მატარებელი, და „ჩარეცხავს“ ამ მიუღებელ ძალებს. როგორი სცენარით წარიმართება ეს პროცესი, ცოტა რთული სათქმელია, იმიტომ, რომ თუ ქართველ ხალხს არ მიეცა იმის საშუალება, რომ ეს სამართლებრივად გააკეთოს, მას უფლება აქვს ქუჩიდან მოახდინოს ზეწოლა, რისი საშუალებაც მომავალში დარწმუნებული ვარ გვექნება.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ბასილ მკალავიშვილი:

ღია წერილი ყოფილ პროკურორს ვალერი გრიგალაშვილს

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი.

ამას წინათ გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტს ინტერვიუ მივეცი სულხან მოლაშვილის წამებასთან დაკავშირებით. იქ აღვნიშნავდი, რომ სულხანი ჩემთან ერთად იმყოფებოდა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. თვითმხილველი ვიყავი, რაც ხდებოდა მის თავს. ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, როგორ შემოდიოდა ციხეში ვალერი გრიგალაშვილი და სულხანს ფულის გადახდას სთხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შვილების მოკვლით ემუქრებოდა. უმეტეს შემთხვევაში, სიმართლე მწარე მოსასმენია, რომელიც ვერ გაითავისა ყოფილმა მაღალჩინოსანმა და განაწყენებულმა „ქრონიკა+„-ში №29 (160) 9-08-2016 (რომლის მთავარი რედაქტორი გახლავთ ელისო კილაძე, მრავალ „სკანდალურ“ საქმეებში გარეული, ნაციონალების აშკარა გულშემატკივარი) გამოაქვეყნა ორგვერდიანი წერილი, რომელიც არათუ ჩემს ბრალდებებს პასუხობს სულხან მოლაშვილთან დაკავშირებით, არამედ უნიჭოდ ჰყვება მის მიერ შეთხზულ, ყოველგვარ რეალობას მოკლებულ ჭორებს ჩემს შესახებ.

მივმართავ
გრიგალაშვილს!

ვალერი გრიგალაშვილო!

სააკაშვილის ნაშიერნი უმეცარნი რომ იყავით, ეგ ვიცოდი, მაგრამ თუ ასეთი, როგორიც წარმოჩინდით, ნამდვილად არ მეგონა. იქნებ დაფიქრდეთ, თქვენნაირი გამომძალველი და კორუმპირებული ხომ არ გგონივართ. საიდან მოჩმახეთ, თურმე იეღოველებთან ვყოფილვარ შეკრული და მათთან ერთად საზღვარგარეთიდან გრანტებს ვიღებდი. გულწრფელად მეცოდება თქვენი შთამომავლობა, რამეთუ, თვით ღირსეულ სასჯელს მიიღებთ ღვთისგან, მაგრამ მომავალ თაობას რატომ სწირავთ და სასჯელისთვის იმეტებთ საკუთარი ცოდვების გამო? იქნებ ბოკერიაში, რამიშვილში ან სხვაში შეგეშალეთ, რომელთა ცხოვრების კრედო სამშობლოს ღალატია დასავლეთიდან და ამერიკიდან მიღებული გრანტების საფასურად? თქვენნაირი მექრთამე და გარეწარი რატომ გგონიათ ყველა? იქნებ გაიხსენოთ დავით ჯიბღაძისგან მიღებული 50 000 დოლარი, რის გამოც დაჭერას პარლამენტარმა ძმამ გადაგარჩინათ, ხოლო თქვენმა მამა-მარჩენალმა, დორბლიანმა სააკაშვილმა პროკურატურიდან წიხლის კვრით გამოგაგდოთ. ეს, რაც გახმაურდა და სხვა, რომელიც არაერთხელ ჩაგიდენიათ მიღმა, სინდისის ქენჯნას არ გრძნობთ? მოვითხოვ, დღევანდელმა პროკურატურამ ეს საქმე დაწვრილებით გამოიძიოს. ნუთუ იმდენი აზროვნება არ გაგაჩნიათ, გამხელენ დანაშაულში, გაჩუმდით, ნუ იქექებით, ნუ იწვევთ ადამიანებს, გაგახსენონ წარსულის შავბნელი საქმეები. საერთოდ, ხმას როგორ უნდა იღებდეთ, თქვენი რეჟიმის კისერზეა ათასობით ადამიანის გაუბედურება, დაუნდობელი წამება, ოჯახების აწიოკება, ერის გადაგვარების მცდელობა, ზნეობრივი გარყვნა, რაც მთავარია, სულხან მოლაშვილის წამება და მკვლელობა, აკადემიკოს გურამ შარაძის დახვრეტა და მრავალი სხვა. არ დაფიქრებულხართ? იეღოველთა გენეალოგია და ევოლუციის პროცესი ასე რომ შეგისწავლიათ და თან გვიხსნით, ჩვენ თვითონ უფრო მეტს გეტყვით მათ შესახებ. გეტყობათ, მაგათი სექტის აქტიური წევრი ხართ. მაგათი წიგნები ახლაც გვიდევს არქივში, როგორც დოკუმენტური მასალა, თუ რა წინააღმდეგობაში მოდის მართლმადიდებლობასთან. ჯობდა წმიდა სახარებაში ჩაგეხედათ და ამოგეკითხათ, რომ ცილისწამება უდიდესი ცოდვაა ღვთის წინაშე, ხოლო თქვენი კანონმდებლობით კი მკაცრად დასჯადია. ასე რომ, ყოფილო პროკურორო, შეიგნეთ, ყოველივე დროებითია ამ ქვეყნად, გონს მოეგეთ, დადუმდით, სანამ თვით არ ამოვქექავთ თქვენ შავ-ბნელ საქმეებს.

საერო ცხოვრებაში დამსახურებული მშენებელი ვიყავი, 20 წელიწადი ერთ სამშენებლო სამმართველოში ვმუშაობდი. შემდეგ გულის სერიოზული დაავადება მივიღე, მშენებლობაზე მუშაობას ვერ შევძლებდი. კომუნისტების დროს უმუშევრობაზე ძალიან მკაცრად სჯიდნენ. ამიტომ ვმუშაობდი კონიაკის ქარხნის დაცვაში, ერთი დღე ვმუშაობდი, სამი დღე ვისვენებდი. ამ დღეებში ჩემი სოფლის ეკლესიას ვაღდგენდი.

უნიჭო პროკურორო, თქვენ წერთ, ვითომ მე კონიაკის ბოთლებით დამიჭირეს. კატეგორიულად მოვითხოვ ამ ფაქტის დამტკიცებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანათემას გადაეცემა ყოფილი ჩინოვნიკი!

რაც შეეხება მამაჩემს, მას მართლაც არშაკი ერქვა, რას ხედავთ ამაში საკვირველს გრიგალაშვილო? არშაკი ნამდვილი ქრისტიანული სახელია. უწიგნურმა, იქნება ჩაიხედოთ ლიტერატურაში და ამოიკითხოთ ეს სახელი და დარწმუნდებით, ამ სახელში არაფერი საჭოჭმანო რომ არაა. მამა წყნეთში დაიბადა, თუმცა, მინდა ყურადღება ერთ ფაქტზე შევაჩერო: როცა დამპატიმრეს, გრიგალაშვილი და ბარამიძე წყნეთში ასულან, მოუთხოვიათ ჩემი დაბადების მოწმობის ასლი. აინტერესებდათ, ეროვნება რა მეწერა. მთელი დღე საბუთების ქექვას მოანდომეს თურმე და ბოლოს რომ ნახეს, ქართველი მეწერა, უკმაყოფილონი დაბრუნებულან უკან. ასეთი დაცემა შეიძლება? მათი „მოღვაწეობის“ პერიოდში ქვეყანა კრიმინალებით იყო სავსე, სადისტებით, მკვლელებით, ციხეები გადატენილი იყო უდანაშაულო პატიმრებით, ფაშისტური რეჟიმი მძვინვარებდა და ესენი მე დამდევდნენ. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ასე რომ, ვინა ვარ? ვარ ერთი უბრალო მღვდელი, რომელსაც პირადი ინტერესები სამშობლოსა და სარწმუნოებაზე წინ არასოდეს დაუყენებია, დანარჩენი, „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო!“, ნებისმიერი მობრძანდეს და ნახოს, რითი ვარ დაკავებული...

ჩემს მშობლიურ სოფელში აღვადგინე დანგრეული ეკლესია, რომელიც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობისაა. ეკლესია აღვადგინეთ სოფლის მაცხოვრებელთა დახმარებით და არა საეჭვო „მეგობრების“ მეშვეობით, როგორც წერილში ამბობთ.

ათასჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, მე დროებით განვუდექი საპატრიარქოს.

შეგახსენებთ, ახლახან ჩატარდა მე-8 მსოფლიო ქვაბ-ავაზაკთა კრება. კრებაზე გადასაწყვეტი საკითხები მართლმადიდებელთათვის მიუღებლად მიიჩნია საპატრიარქომ და არ დაესწრო კრებას. ამით განუდგა მსოფლიო ეკუმენისტურ ეკლესიას, რის გამოც იმათგან დიდი გულისწყრომა და ლანძღვა დაიმსახურა.

ანალოგიურად, მე, 1995 წელს, განვუდექი საპატრიარქოს, რამეთუ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია გაერთიანებული იყო მსოფლიო ეკუმენისტურ საბჭოში, ასევე, ვითხოვდი, აგველაგმა იეღოველთა სექტის ძირგამომთხრელი, აგენტურული საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო მართლმადიდებლობის აღმოფხვრისკენ საქართველოში. გაავლეთ ახლა პარალელი ამ ორ მოვლენას შორის...

გრიგალაშვილი კი, ასეთ გულშემატკივრად რომ მოევლინა საპატრიარქოს, ვაუწყებ საზოგადოებას, რას უმზადებდა იგი პატრიარქს.

მისი დავალებით ციხეში ჩემთან შემოვიდა ვინმე თემურ გიორგაძე, რომელმაც თავი პროკურორად გამაცნო. მომიტანა პატრიარქის წინაღმდეგ შედგენილი წერილი და რაღაც ბინძური სურათები, რომელიც უნდოდათ ჩემი სახელით გამოექვეყნებინათ გაზეთ „24 საათში“, სანაცვლოდ გათავისუფლებას მპირდებოდნენ. მე უარი განვაცხადე ამ ბინძურ გარიგებაზე. ერთი თვის შემდეგ ამ სულწაწყმედილმა პროკურორმა, როგორც ჩანს, გადაიბირა სააკაშვილის მომხრე სამი ეპისკოპოსი: ზენონ იარაჯული, გრიგოლ ბერბიჭაშვილი და კალისტრატე მარგალიტაშვილი. მათი ხელმოწერით დაბეჭდეს ის წერილი, უფრო შერბილებული სახით, ბინძური სურათების გარეშე.

სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმის სტილი ასეთი იყო: როცა განვუდექი ეკლესიას, მაგათი აზრით, რუსეთის დავალებას ვასრულებდი. ახლაც ისევე გრძელდება, ვინც არ მოსწონთ, რუსეთის აგენტებად აცხადებენ.

გრიგალაშვილმა, მშვენივრად უწყის, ვისზეც ჰქონდათ კომპრომატები, რომელი სასულიერო პირების მიმართ. სწორედ ის ეპისკოპოსები არცხვენენ დღეს საქართველოს ეკლესიის რეპუტაციას, რომლებიც თქვენნაირი მომხვეჭელები არიან, ბიზნესით დაკავებულნი, ჯიპებით დაგრიალებენ და არანაირ სიამოვნებას არ იკლებენ. სწორედ ესენი იყვნენ „შეკრულნი“ სააკაშვილის სატანურ სექტასთან. ანგრევდნენ წინაპართა მონაპოვარს, ისინი დღესაც სააკაშვილზე ლოცულობენ, მის დაბრუნებაზე ოცნებობენ. თქვენც მათ შორის, ფიქრობთ, თუ სააკაშვილი დაბრუნდება, რაიმეს „გამოჰკრავთ“ ხელს. გახსოვდთ, ვერ ეღირსებით ამ დღეს!

ძალიან მიკვირს, როგორ ასრულებდა გრიგალაშვილი მასზე დაკისრებულ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობას. ასეთი უმეცარი როგორ არის. ისეთ აბსურდებს ჰყვება, ზღაპარშიც ვერ მოისმენთ.

მოვიყვან მცირე ამონარიდს მისი წერილიდან: „თემურ მღებრიშვილმა ბ. მკალავიშვილის პროკურატურაში წარმოდგენის უზრუნველსაყოფად გამოყო სპეცრაზმის 4 თანამშრომელი, როგორ ემოქმედათ ოპერაციის დროს. გლდანის ეკლესიაში მისვლის შემდგომ მძღოლი მანქანაში უნდა დარჩენილიყო, არ გამოერთო დაქოქილი ავტომობილი. სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული შევიდოდა ეკლესიაში. ისინი არ მიიქცევდნენ მრევლის ყურადღებას, შეერეოდნენ მრევლს და შეუმჩნევლად მიუახლოვდებოდნენ ბასილს. ორი მათგანი ანაფორის ქვეშ შეუძვრებოდა მკალავიშვილს, ერთი აწევდა მარცხენა ფეხიდან, მეორე კი მარჯვენა ფეხიდან. ანაფორის ქვეშ მყოფ ორ სპეცრაზმელს გზის მიმართულებას უჩვენებდა მესამე სპეცრაზმელი, რომლის ფეხებიც ანაფორიდან გამოჩნდებოდა. ის მათ წარუძღვებოდა მანქანამდე. მღებრიშვილის მიერ დაგეგმილი ოპერაცია ბრწყინვალედ შეასრულეს პოლიციის მუშაკებმა...“-ო, წერს. სასაცილოა, პირდაპირ, ასეთი რამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, არათუ შესრულება. წირვაზე მღვდელი საკურთხეველშია ან ამბიონზე. ამბიონზე საერო პირთა ასვლა არ შეიძლება. პრაქტიკულად, შეუძლებელია მიახლოება, თან სამი ადამიანი შეუძვრეს მღვდელს კაბის ქვეშ. ცირკშიც კი ვერ დადგამენ ასეთ წარმოდგენას. გრიგალაშვილი, ამ სტრიქონებს რომ წერდა, იქნებ მთვრალ მდგომარეობაში იყო, ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა? მე ვურჩევდი მის ახლობლებს, შეამოწმონ ამ ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა.

იმასაც წერს, პროკურატურაში ვიბარებდიო და არ მოვიდაო. თან ოქრუაშვილს აბრალებს ყველაფერს და მსაყვედურობს, რატომ არ ვუჩივი ირაკლი ოქრუაშვილს. მე არავის ვუჩივი, ბოროტებას ბოროტებითვე არ ვპასუხობ, უფლის გასაკეთებელს მე არც ვეცდები, რამეთუ ღმერთსა ვარ

მინდობილი და ის მიაგებს სასჯელს ყველას, დამსახურებისამებრ. პირადად ყოფილ პროკურორს ვურჩევ, მოინანიოს, დატოვოს თავისი დანაშაულებანი ამ ცოდვილ დედამიწაზე, თორემ საშინელ სამსჯავროზე არაფერი მიეტევება არავის.

რომ წერთ: „ძებნაში მყოფი ბ. მკალავიშვილი, რომელიც საბერძნეთში იყო წასულიო“, საოცრებაა პირდაპირ. მე, ძებნილი საბერძნეთში წავედი, ჩამოვედი, გამოვიარე აეროპორტის გასასვლელები და არ დამკავეს. ამ ტყუილს რა ახსნა მოუძებნეთ, ბატონო ვალერი?

მორიგი ტყუილი. სახალხო დამცველის ოფისის ეზოში 11 მარტს მართლაც ჩავატარეთ პრესკონფერენცია, მაგრამ იქ მრევლი არ ყოფილა, ვიყავით 5-6 წარმომადგენელი. პრესკონფერენციის მიმდინარეობის დროს იქ პოლიცია საკმაო რაოდენობით იყო. ჩემი დაპატიმრება არ გახლდათ დიდი პრობლემა, მაგრამ სააკაშვილს სულ სხვა გეგმა ამოძრავებდა. ჩემი ხმაურიანი დაპატიმრება, რათა მთელ მსოფლიოს ენახა, როგორ ისჯება ძირძველ მართლმადიდებელ ქვეყანაში მართლმადიდებელი მღვდელი.

ვალერი გრიგალაშვილის ტყუილების კასკადიდან გამოვყოფდი



მხოლოდ ერთს, რომელსაც ვეთანხმები. მას ჩემს მრევლში ბევრი ჰყავდა შემოგზავნილი, რათა ინფორმაცია მიეწოდებინათ მისთვის, მაგრამ მე დასამალს არაფერს ვაკეთებ, ვლოცულობთ, ვაშენებთ, ვშრომობთ, უანგაროდ ვემსახურებით ეკლესიის ზღურბლთან მოსულთ.

უვიცი პროკურორი ძებნილადაც მომიხსენიებს და საუბრობს იმ პერიოდზე, როცა ეკლესიას ვაშენებდით, მე ჩემი ძველი, 30 წლის გაზ-24-ით თავისუფლად ვმოძრაობდი ქალაქში და სამშენებლო მასალებს ვეზიდებოდი. ავაშენეთ გლდანის გრანდიოზული ტაძარი, ჩვენივე ხარჯებით, მრევლის შემოწირულობებით. სამუშაოს ეკლესიის მორჩილები ასრულებდნენ ჩემი ხელმძღვანელობით. ჩვენ საუკუნეების ძეგლს ვუტოვებთ საქართველოს, რომელიც დაგვხვდება ზეციურ იერარქიაში, ხოლო გრიგალაშვილი და ძმანი მისნი პირად კაპიტალს აგროვებდნენ, საკუთარ ვილებს იშენებდნენ, რომელსაც ვერავინ გაატანთ იმქვეყნად, ღვთისაგან კი განისჯებიან, რამეთუ დაბინძურებული სულით წარსდგებიან ღვთის წინაშე!

ვალერი გრიგალაშვილის პროკურატურაში „მოღვაწეობის“ პერიოდში იყვნენ ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელი პროკურორები. პირადად ჩემს პროცესს მართავდა პროკურორი მამუკა კერესელიძე, რომელიც ერთ პროცესზე ნარკოტიკის ისეთი ძლიერი ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, კითხვის დროს მოსამართლეს ვერაფერი გააგებინა, რის გამოც მოსამართლემ პროცესი გადადო. მე იქ მყოფ ჟურნალისტებს განვუცხადე: ხედავთ, როგორი ნარკომომხმარებელი პროკურორი მასამართლებს-მეთქი. ეს მომენტი ყველა სატელევიზიო არხმა გააშუქა, რის გამოც საზოგადოებამ გაიგო ამის შესახებ. ერთი კვირის შემდეგ დაიწყეს ქალაქში პროკურორების შემოწმება. ძალიან ბევრს დაატოვებინეს სამსახური. მამუკა კერესელიძემ რომ გაიგო ექიმების მისვლა შემოწმების მიზნით, ითხოვა საპირფარეშოში გასვლა. იქიდან გაიპარა და მას შემდეგ პროკურატურაში აღარ გამოჩენილა.

აშკარაა, რომ გრიგალაშვილს სერიოზული პრობლემები აქვს გონების მხრივ. ამდენმა ცოდვებმა ისე დაამძიმა, თავს ვეღარ ერევა. ყველას ლანძღავს, თურმე თეა წუულუკიანი ჩემი ინტერვიუების ინსპირატორი ყოფილა, როცა არანაირი შეხება არ მაქვს ამ ადამიანთან. კომენტარი მკითხველისთვის მიმინდვია.

ვალერი გრიგალაშვილი, კილაძე და მისთანანი სააკაშვილის სექტის ნარჩენები არიან. მათ იმედი აქვთ, კვლავ დაბრუნდება ის დორბლიანი საქართველოში და გაარძელებს ფაშისტურ რეჟიმს. ფუჭად ოცნებობთ. ეს დღე არ დადგება საქართველოში, ამას ღმერთი არ დაუშვებს. ქართველი ხალხი კი ღმრთის შემწეობით საკადრის პასუხს გასცემს ერისა და სარწმუნოების მოღალატეებს.

გრიგალაშვილო, შენთვის იქნება უმჯობესი, მოხვიდე, მუხლი მოიყარო ტაძარში და შესთხოვო უფალს შენდობა ისე, როგორც ეს გააკეთეს მათ, ვინც ჩვენ დაგვარბია 12 მარტს.

გლდანის ივერიის
ყოვლადწმიდა
ღმრთისმშობლის
სახელობის ეკლესიის
წინამძღვარი
ბასილი მკალავიშვილი

ძველი ნაციონალური ნაღმები უნდა განეიტრალდეს!

„დრო ყველაფრის მკურნალიაო“, მაგრამ ყველას და ყველაფერს ეს ანდაზა ყოველთვის არ მიესადაგება. თუმცა, არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავად ივიწყებენ მათ მიერ ჩადენილ ცოდვებს. იმას კი არ ფიქრობენ, რომ მათი საქციელი ზოგიერთ ადამიანს სიცოცხლის ბოლომდე მწარედ ემახსოვრება. თუნდაც სხვისი დანაშაულის დაფარვა, გამართლება იგივე დანაშაულში ირიბად მონაწილეობად ითვლება. ეს იურიდიული ტერმინით, მაგრამ მორალს, სინდისს ვერსად გავექცევით.

დიახ, დრო ყოველთვის როდია მკურნალი. როგორ შეიძლება დაივიწყოს საქართველოს მოსახლეობამ პირსისხლიანი ნაცრეჟიმის 9-წლიანი ტირანული მმართველობა, ქუჩებში ჩახოცილი ბიჭები, უდანაშაულო ხალხით გადაჭედილი ციხეები, წართმეული ქონებები, გაუპატიურებული კაცები... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, იმდენი არაკაცობა აქვთ ჩადენილი, ლამის სათვალავი აგვერიოს. სწორედ ამ დანაშაულებების თანამონაწილეები არიან ნაცრეჟიმის მხარდამჭერები, რომლებიც, თქვენ წარმოიდგინეთ და კვლავ ელოდებიან პირსისხლიანი რეჟიმის წარმომადგენლების ქვეყნის ხელისუფლებაში დაბრუნებას! გამოდის, რომ ეს ხალხი (მხარდამჭერები) უფრო დიდი დამნაშავეები არიან, ვიდრე ისინი, რომლებმაც უშუალოდ ჩაიდინეს საშინელი დანაშაული. შეიძლება მავანმა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაში დაგვადანაშაულოს, მაგრამ მაინც ჯიუტად გავიმეორებ — ის ადამიანები, რომლებიც ამართლებდნენ არაადამიანურ საქციელს და დღემდე მხარს ნაცრეჟიმს უჭერს, ისეთივე დამნაშავეები არიან, როგორც რეჟიმის წევრები, ისეთივე მკვლელები, კაცების გამაუპატიურებლები, წამგლეჯნი...

ყველას კარგად გვახსოვს, თუ როგორი ვითარება იყო 2012 წლის 1 ოქტომბერს არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, მაგრამ თავს უფლებას მივცემ და კვლავ გავიხსენებ. ჯერ კიდევ არჩევნების მიმდინარეობისას ვირთხებმა იგრძნეს დამარცხების საფრთხის მოახლოება და ნელ-ნელა დამალვა დაიწყეს. დაცარიელდა და დაიკეტა „ნაცმოძრაობის“ ოფისები. მათი კოორდინატორების ჭაჭანებაც არ იყო არსად. ნაცრეჟიმის ერთ-ერთმა აქტიურმა მხარდამჭერმა ქალბატონმა ინფარქტიც კი მიიღო. საბედნიეროდ, ქალბატონი გადარჩა.

ნაცრეჟიმის წარმომადგენლები ელოდნენ ხალხის რისხვას, ლინჩის წესით გასამართლებას. თუმცა მშველელად ბიძინა ივანიშვილი მოევლინათ და ქვეყანას, ფაქტობრივად, თავიდან ააცილა ქაოსი. სამწუხაროდ, ნაცებმა მათ მიმართ გამოჩენილი დიდსულოვნება არაადეკვატურად აღიქვეს, ყოველთვის ცდილობდნენ, ხალხისთვის და ქვეყნისთვის ევნოთ, აღარაფერს ვამბობთ ლანძღვა-გინებაზე, რომელსაც უხვად აფრქვევდნენ ტელეეკრანებიდან.

ჩვენ, ხალხი, იმის მაგივრად, რომ კატეგორიულად მოგვეთხოვა დამნაშავე პარტიის აკრძალვა და გასამართლება, ნაცკოორდინატორების მიმართ ლმობიერებას ვიჩენდით. ასეთია ქართველი კაცის ბუნება, დამარცხებულის ბოლომდე დაჩაგვრა ჩვევად არ აქვს. დღეს შედეგად მივიღეთ გაავებული ნაცკოორდინატორები.

თურმე, ნუ იტყვით და დღესაც იღებს ეს ხალხი „ნაცმოძრაობის“ პარტიიდან დაფინანსებას. როგორც სანდო წყაროს კულუარულად გვითხრა, მათი ანაზღაურება ყოველთვიურად 150-200 ლარს შეადგენს. აქვე გვინდა ვიკითხოთ, საიდან აქვს პარტიას ასეთი ფინანსური შესაძლებლობა? მათი ზეობის პერიოდში, გასაგებია, ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯზე იყვნენ, მაგრამ ახლა?

ანაზღაურების სანაცვლოდ, ნაცკოორდინატორები ყველაფერს კადრულობენ. „არაფერი კეთდება ქვეყანაშიო“, — გაიძახიან. გაკეთებული თუ დაინახეს, „ნაცმოძრაობის“ ნახელავიაო, ხალხში ჭორებს ავრცელებენ, არც ცრუ დასმენებს ედირებიან სხვადასხვა ინსტანციებში. ერთი მაგალითი. ერთ-ერთ უბანში თანადაფინანსებით წყალ-საკანალიზაციო სისტემები გამოიცვალა. საამისოდ მოსახლეობასაც უნდა გაეღო გარკვეული თანხა. ნაცკოორდინატორებმა კორპუსის თავმჯდომარე დაადანაშაულეს თანხის არამიზნობრივ ხარჯვაში, თავის ახლობლებს გადაუნაწილა მოსახლეობისგან აკრეფილი ფულიო. უჩივლეს კიდეც. ეს მაშინ, როდესაც ერთ-ერთ აქტივისტს თანხა არ ჰქონდა გადახდილი.

ნაცკოორდინატორები აგრესიულობითაც გამოირჩევიან. განსაკუთრებით არაქართველი, ჩვენი „მომძე“ ერის წარმომადგენლები. მართალია, აგრესია ჯერ მხოლოდ სიტყვიერია, მაგრამ თუ ყურადღებით მოვუსმენთ, გავიგებთ, რომ ისინი არც ფიზიკურ აგრესიაზე იტყვიან უარს.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად შემოდგომის ბუზები სულ უფრო მწარე კბენას ცდილობენ. ამიტომ ვფიქრობთ, ყველა ფაქტი საყურადღებოა. „ქართულ ოცნებას“ შეფარებულმა ნაცრეჟიმის სატელიტმა პარტიებმა, მათ შორის „რესპუბლიკელებმა“ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ უამრავი ფარული ნაღმი დატოვეს და მათი განეიტრალება დროულად უნდა მოხდეს. ნაცრეჟიმის დანაშაულებების დავიწყება და მათთვის არშეხსენება მათი და მათი კოორდინატორების წისქვილზე წყლის დასხმის ტოლფასია.

გია ბურდული
551 71 27 07

ცეზარ ჩოჩელი:

ზოგს ფულის კეთება ანიჭებს სიამოვნებას,მე ყველაზე მეტად ქარხნების მშენებლობა მხიბლავს...

● ამდენი დაბრკოლება გადავლახე, მაგრამ საქართველოში ყველაზე მეტ ქარხანას მაინც ავაშენებ, რაც უნდა თქვან და წერონ ჩემზე...

● ვაპირებ, დამოუკიდებლად ვიყარო კენჭი მცხეთაში. ყველა ნახავთ, რომ მცხეთელები მე ამირჩევენ. იცის მოსახლეობამ, რისი გამკეთებელი ვიყავი და ვარ მე...

„საერთო გაზეთი“ აგრძელებს საუბრებს ქართველ ბიზნემენებთან. ამჯერად გთავაზობთ ინტერვიუს ქართული ლუდის კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან ცეზარ ჩოჩელთან.

— ბატონო ცეზარ, თქვენს ახალ ინიციატივას — ცემენტის ქარხნის მშენებლობის დაწყებას სენაკში, ბევრი ოპონენტი გამოუჩნდა. დაისვა კითხვები, მაგრამ მათზე ამომწურავი პასუხები ჯერჯერობით არ გაცემულა.

— დიახ, ბევრი რამ იწერება ჩემზე, მაგრამ დადასტურებული და დასაბუთებული არაფერი არ არის — რაში მიმიძღვის ბრალი. ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, მავანთა მიერ დასმულ კითხვებზე მათთვის სასიამოვნო პასუხი, ალბათ, ვერც მოიძებნება, რადგან მე ვმუშაობ და ჩემს საქმიანობაში კრიმინალური და საგანგაშო არაფერი არ არის.

ყველაფერი ეს ზოგიერთებს საკუთარი ან თავიანთი გამოცემების პოპულარიზაციისთვის სჭირდებათ, ზოგიერთს — ახალი სკანდალისთვის. გამოიტანენ სათაურს და ტექსტი სათაურს არ პასუხობს.

ვიღაც-ვიღაცები უამრავ თანხას იხდიან მედიასაშუალებებში და სოციალურ ქსელებში, რომ უგვანო და უსაგნო სტატია, ასე ვთქვათ, გაარეკლამონ. ვინ დგას ყველაფერ ამის უკან, ვის აინტერესებს ყოველივე ეს? გიპასუხებთ — ამაზე მუშაობს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია და, გპირდებით, მალე გამოვააშკარავებთ მათ. ჯერჯერობით კი მოგახსენებთ, ეს არის შეკვეთილი სტატიების ციკლი, რომელიც ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდაა მიმართული.

რაც შეეხება სენაკში მშენებარე ქარხანას — თავიდანვე ვთქვი, ეს იქნება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში გამორჩეული, საჩვენებელი ქარხანა. ეს იქნება საქართველოში დღემდე არარსებული, სრულიად ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმო.

ნებისმიერი წარმოება, რომელიც ჩვენ შევქმენით — სამშენებლო მასალების მწარმოებელი ქარხნები, კვების პროდუქტების, გამაგრილებელი სასმელების და სხვა საწარმოები უმაღლესი ტექნიკით არის აღჭურვილი და ერთ-ერთი საუკეთესო ქარხნებია ევროპაში.

სენაკის ქარხანაც, გარწმუნებთ, იქნება გამორჩეული არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ ევროპაში.

ინტრიგა და ლანძღვა-გინება ჩემს მიმართ და ჩემი საქმიანობის წინააღმდეგ მიმდინარეობს მიზანმიმართულად, რომ არ გაკეთდეს საქმე. ვიღაცებს აწყობთ, ხლართონ ინტრიგები და ამით გაიტანონ თავი, თორემ სენაკის ქარხანა უდიდესი სარგებლის მომტანი რომ არის ქვეყნისთვის, ეს დაინტერესებულმა პირებმა კარგად უნდა იცოდნენ.

ქარხნის პროდუქცია გათვალისწინებულია, ძირითადად, ექსპორტისთვის, როცა ჩვენს ქვეყანაში პერმანენტულად გვახსენებს თავს სავალუტო კრიზისები, ვალუტის დეფიციტი, ჩვენ ვამბობთ, რომ ნედლეული, რომელიც საქართველოში უხვად მოიპოვება, შესაძლებელია ექსპორტზეც გავიტანოთ. არ მესმის, რა არის ამაში ცუდი?

— სავარაუდოდ, თქვენ დაგიკავშირდებოდნენ ოპონენტები, რატომ არ გაეცით პასუხი?

— ჩვენ გავეცით პასუხი. საინტერესო ისაა, რომ დისკუსიები მიმდინარეობს ჯერ არარსებულ ქარხანაზე, რომლის მსგავს საქმიანობას რამდენიმე საწარმო ასრულებს საქართველოში.

კიდევ გავიმეორებ, სენაკში აშენდება საჩვენებელი ქარხანა. რაც შეეხება ხმაურს, გამონაბოლქვს და ა. შ. ყველაფერი იქნება ევროპის უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად.

ქარხანა იქნება გამწვანებული. როგორც „ზედაზენის“ ქარხნის გარემოა ყვავილებში და სიმწვანეში, ისე იქნება იქაც.

ხელისუფლება მოხარულია, რომ პროექტი ხორციელდება, რადგან ეს ქვეყანას დამატებით შემოსავლებს მოუტანს, გაზრდის სენაკის ბიუჯეტს. ადგილობრივ ბიუჯეტს ამ ქარხნის ამუშავებით, მინიმუმ, 2 მლნ. ნახევრიდან 3 მლნ. ლარამდე სარგებელი ექნება.

ნედლეული, ენერგომატარებლები ჩვენთან გაცილებით იაფია, ვიდრე თურქეთში. შესაბამისად, თუ თურქეთი ახერხებს წელიწადში საკმაოდ სოლიდური რაოდენობის ექსპორტს, ჩვენ რატომ ვერ მოვახერხებთ? თუ მუდმივად ის უნდა ვიძახოთ, რომ საქართველოს არაფერი არ შეუძლია, საქართველო გაჭირვებული ქვეყნაა! ასეთი აზრი აქვს ჩანერგილი ზოგიერთს და ცდილობს სხვასაც ჩაუნერგოს.



თავის გარემოცვაში გაავრცელოს ეს აზრი. ჩვენ, ვისაც ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის მომავლის გვჯერა, დაგვანებონ თავი, რადგან მათგან განსხვავებით, მშვენივრად ვიცით, რა ქარხანა უნდა ავაშენოთ, სად და რა ტიპის პროდუქცია რომელ ქვეყანაში უნდა გავიტანოთ ექსპორტზე.

ჩვენი მოწინააღმდეგეების ილუზიები უფრო შორს ვერ მიდის. მათ ჰგონიათ, რომ ავანტურიზმით, რომელსაც ახორციელებენ ჩვენს წინააღმდეგ, რაღაცას მიაღწევენ, მაგრამ არაფერი გამოუვათ.

— რამდენადაც ვიცი, სხვა ქარხნების მშენებლობასაც აპირებთ. კერძოდ, ეთერზეთებისა და ნატურალური წვენების მწარმოებელი ობიექტების შექმნას.

— ეთერზეთების მწარმოებელი ქარხანა აიგება ერთი კახეთის რეგიონში, ერთი — სამეგრელოში. კონკრეტულად სამეგრელოში სად იქნება, ჯერ გადაწყვეტილი არაა. ამ მიმართულებით საქართველოში გარკვეული სამუშაოები არის განხორციელებული, მაგრამ 90-იანი წლების შემდეგ ეს დარგი გაჩერდა, განადგურდა. ვვარაუდობთ, რომ ავაღორძინებთ ამ დარგის წარმოებასაც...

მოგეხსენებათ, ჩვენს საწარმოებს გარკვეული სახის პრობლემები ჰქონდა, რის გამოც ჩვენთან დასაქმებული კონტინგენტი უმუშევარი დარჩა, მაგრამ დღესდღეობით ჩვენს კომპანიებში და მასთან დაკავშირებულ საწარმოებში 4 000-მდე ადამიანი მუშაობს. ქვეყნის ბიუჯეტში საკმაოდ სოლიდური რაოდენობის თანხები შედის ჩვენგან. კონკრეტულად შემიძლია გითხრათ, რაც ლუდსახარში „ზედაზენი“ გაიხსნა, მხოლოდ აქედან 100 მლნ-მდე მოგება მოვუტანეთ სახელმწიფო ბიუჯეტს.

შარშანდელი მონაცემებით, საგადასახადო შემოსავლების დაახლოებით, 1% შეჰქონდა ჩვენს წარმოებებს ბიუჯეტში.

— თქვენი ფეისბუქ-გვერდი სავსეა მადლობებით იმ ქველმოქმედებისთვის, რასაც თურმე ახორციელებთ. მართალი გითხრათ, გამიკვირდა და არც მეგონა, თუ ასეთი მასშტაბური რესურსები გქონდათ გაცემული ქველმოქმედებებისთვის.

— ჩემი აზრით, ადამიანი მუდმივად უნდა იყოს სიახლის ძიებაში და თუკი შეუძლია, უნდა აკეთოს ქველმოქმედება. ვერ წარმომიდგენია ოდნავ მაინც შეძლებული ადამიანი, ამ მიმართულებით არ ფიქრობდეს და არ მოქმედებდეს.

რაც შეეხება დაფასებას. კარგი მაგალითი გამახსენეთ.

ბოლო პერიოდში გაიხსნა შავი ზღვის არენის გრანდიოზული დარბაზი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა სახელმწიფოს გადასცა. ამასთან დაკავშირებით ისმოდა კომენტარები — რაში გვჭირდება, უსარგებლო ნაგებობაა და ა.შ. ეს არის უმადურობა. როცა საქართველოში ასეთი რამ იქმნება, უმადური ადამიანები ამბობენ: როგორ უნდა შეინახოს ბიუჯეტმა ეს შენობა. უმადურობა ყველაზე ცუდი რამ არის. მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია, ადამიანს, რომელიც აკეთებს სიკეთეს, ამდენი დაუნახავობისგან გული გაუტყდეს და კარგი საქმის კეთების ხალისი დაეკარგოს?

მე მიჩვეული ვარ ასეთ რამეებს და როცა სიკეთეს ვაკეთებ, უკან არ ვიხედები. ღმერთმა შეარგოს ყველას, ვისთვისაც რაიმე გამიკეთებია. უფალმა ხომ იცის, მეტის გაკეთებაც რომ მინდა... აღარ ვილაპარაკოთ ამ თემაზე.

— ბატონო ცეზარ, რამდენად არის დღეს ბიზნესი თავისუფა-

ლი? ის გასული 9 წელიწადი ხელისუფლებაში რომ ყოფილიყო „ქართული ოცნება“ და მერე მოსულიყვნენ ნაციონალები, რა მოუვიდოდა თქვენს ბიზნესს და საერთოდაც, უნდა ჰქონდეს თუ არა ბიზნესს და პოლიტიკას საერთო შეხებისა და გადაკვეთის წერტილები?

— ბიზნესი დღეს აბსოლუტურად თავისუფალია სახელისუფლებო წნეხისგან. ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელია თავისუფალი გარემო. დღევანდელი გადასახედიდან წინა და დღევანდელი ხელისუფლების შედარება ნამდვილად არ შეიძლება. ამას ვამბობ არა მხოლოდ მე, ნებისმიერი ბიზნესმენი დაგიდასტურებთ, რომ ბიზნესი დღეს თავისუფალია. რეალურად, გარემო შეცვლილია. ხელისუფლების ცვლილების დროს ყველაზე მეტად მე დავიჩაგრე, თუმცა სიმართლე უნდა ითქვას — ბიზნესთან დამოკიდებულება გაცილებით პროგრესულია. კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისთვის, რომ ბიზნესს მეტი კომფორტი შეექმნას. პოზიტიური ნაბიჯები იდგმება და ვფიქრობ, უკეთესი სიტუაცია შეექმნება ბიზნესს და ბიზნესმენებს, რაც პირდაპირ აისახება ბიუჯეტზე, დასაქმებაზე და ქვეყნის სოციალურ ფონზე.

ბიზნესის და პოლიტიკის ურთიერთობა ახსენეთ. არ არსებობს მსოფლიოში ქვეყანა, სადაც ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის ბიზნესი და პოლიტიკა.

ახლა ამერიკაში საარჩევნო მარათონია გაჩაღებული. როგორ გგონიათ, ვინ აფინანსებს პოლიტიკოსებს. რა თქმა უნდა, ბიზნესმენები და ვერავინ მეტყვის, ისეთ განვითარებულ ქვეყანაშიც კი, როგორიც ამერიკაა, ბიზნესი და პოლიტიკა გაყოფილი იყოს. მეტიც, უშუალოდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

ბიზნესი პოლიტიკისგან კი არა, სახელმწიფოს ჩარევისგან უნდა იყოს თავისუფალი.

დღეს ქვეყანაში უპირველესი ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ არის მოსახლეობის დასაქმება. კაცი ოჯახში კაცად უნდა გრძნობდეს თავს, დედები უცხოეთში არ უნდა მიდიოდნენ ოჯახის სარჩენად. ეს არის ჩვენი ქვეყნის ნომერი პირველი პრობლემა.

— რომ წარმოვიდგინოთ საქართველო ერთ დიდ ბიზნესკომპანიად და ამ ბიზნესკომპანიის ხელმძღვანელი თქვენ იყოთ, რას გააკეთებდით, პირველ რიგში, იმისთვის, რომ ამ „ბიზნესკომპანიის“ ეკონომიკა ფეხზე დადგეს?

— რაც შეიძლება სწრაფი ტემპით უნდა განვავითაროთ სამი მიმართულება: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და წარმოება. დღეს ჩვენ ვართ მომხმარებელი ქვეყანა. რამენაირად უნდა შევიცვალოთ ეს სტატუსი.

ძალიან სწრაფი ტემპებით გვაქვს განსავითარებელი ტურისტული ინფრასტრუქტურა. ყველა ის მიმართულება, რომელიც ქვეყანაში თუნდაც ადგილობრივ რესურსზეა დაფუძნებული — სასარგებლო წიაღისეული და სოფლის მეურნეობა. უახლოეს წლებში ამ მიმართულების წარმოებებია განსავითარებელი და დარწმუნებული ვარ, თუ საქართველო სწორი მიმართულებით ივლის, მინიმუმ ხუთი წელია საჭირო, რომ ქვეყანა წელში გაიმართოს.

ამასთან ერთად, თუ ცოტათი ერთმანეთის გატანასაც ვისწავლით, მთლად უკეთესი იქნება.

ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ. არავინ არავის კაცი არ არის, სინამდვილეში. ყველა თავისი თავის კაცია საბოლოოდ.

ხალხის გაყოფა რომ დამთავრდება ჩემიანებად და სხვისიანებად, მაშინ დაიწყება ჩვენი აღმავლობა.

მაგალითად, ჩემს წინაღმდეგ დილით სისხლის სამართლის საქმეს აღძრავდნენ, საღამოთი ახალ პროექტს ვიწყებდი. ადამიანი იმისთვისაა გაჩენილი, რომ იბრძოლოს. „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“, ხომ გახსოვთ?!

დაძაბულია ხალხი, გადაიღალა საზოგადოება ამდენი სტრესით და ზოგადად, გიორგი კვირიკაშვილში მომწონს ის, რომ მაქსიმალურად ცდილობს პოლიტიკური ტემპერატურა დაბალანსებული იყოს. რაც უფრო მაღალია პოლიტიკური ტემპერატურა, ნევროზული ხდება საზოგადოება. მუდმივად მიდის ერთმანეთის ლანძღვა. ხანდახან ფეისბუქში წავიკითხავ ხოლმე კომენტარს — წერს კაცი ჩემზე, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს, ვინ ვარ. დაწერს ისეთს, ვფიქრობ, რას მერჩის, რა დავუშავე?! პასუხი არ არსებობს.

ჰოდა, ეს „ცუდი კაცი“ — ცეზარ ჩოჩელი ერთი სამი წელიწადი მცხეთას მივხედავ. ვაჩვენებ ყველას, როგორი უნდა იყოს დეპუტატი.

ხომ არიან ადამიანები, რომლებიც კმაყოფილნი არიან იმით, რომ ბევრი ფული აქვთ, ჩემი სიამოვნება არის ქარხანას რომ ვაშენებ. ეს მანიჭებს უდიდეს სიამოვნებას.

აქილევსი რომ წავიდა ომში, დედამისმა უთხრა: თუ წახვალ, დაიღუპები, მაგრამ სახელი დაგრჩება, თუ არ წახვალ, ბედნიერი იქნები, მაგრამ სახელი არ გექნებაო. ამდენი დაბრკოლება გადავლახე, მაგრამ საქართველოში ყველაზე მეტ ქარხანას მაინც ავაშენებ. რაც უნდა თქვან და წერონ ჩემზე, ეს არის მორიგი ზღაპრები და ცილისწამება, როცა იქნება, უკან დაუბრუნდებათ ცუდად.

ცოტა ხანში დაწყნარდება ყველაფერი და ყველაფერი კარგად იქნება.

ერთადერთი, რაც 3 - 4 წელიწადი პრობლემა იქნება, ესაა ბიუროკრატია, მაგრამ ესეც დაძლევადია.

თქვენ გგონიათ, სულ ასე იქნება? გული იმაზე მწყდება, დროს რომ ვკარგავთ, თორემ ყველაფერი ცუდი გაივლის.

მამაჩემი 80 წლისაა.

მივალ, ტირის, წამოვალ — ტირის.

ვერ იტანს ლტოლვილობას.

დედაჩემი დღემდე ლტოლ-

ვილების დასახლებაში ცხოვრობს წეროვანში. არ მომყვება თბილისში. იქ ურჩევნია, თავის მეზობლებთან.

მამაჩემი დილის 9 საათზე დგება და წეროვანის გზას მიჰყვება.

გავიტანჯე კაცი, 8 წელიწადია, ამ რეჟიმში ვცხოვრობ — დავრბივარ წეროვანსა და თბილისს შორის.

არაფერს ვიჯავრებდი, ცოტა ერთმანეთის გატანა რომ შეგვეძლოს. ერთმანეთის პატივისცემა რომ ვიცოდეთ, ჩვენნაირი ერი არ იარსებებს.

— ბატონო ცეზარ, როგორც ცნობილი გახდა, კენჭისყრას აპირებთ მცხეთაში დამოუკიდებელ მაჟორიტარ დეპუტატად, რაში სჭირდება დღეს ბიზნესმენს პოლიტიკოსობა? უფრო დაცული იქნებით? მოგცემენ ხმას მცხეთელები?

— არავინაც არ ზღუდავს დღეს ჩემს ბიზნესს. ალალად და გახსნილად გეტყვით: ჩემი თავი შემოევლოს მცხეთელებს, მე ვჭირდები მცხეთას. ეს არ არის არც მაღალფარდოვანი და არც ლიტონი სიტყვები, რადგან ჩემი ცხოვრების გზას იცნობს ხალხი.

2008 წელს გუბერნატორი გავხდი და მთელი წელი უმძიმეს პირობებში ვიმუშავეთ. მცხეთაში, დაახლოებით, 3 წელიწადი დავყავი. ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ დიდი მოცულობითი სამუშაო გავწიეთ: - 2009 წელს დაიწყო ძველი მცხეთის რეაბილიტაცია; ამოვაშრეთ 4 ჰექტარი ჭაობი, სადაც ავაშენეთ მცხეთა-მთიანეთის სამხარეო და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, პოლიციის სამხარეო და რაიონული შენობები, საქსტანდარტი. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხუთ საცხოვრებელ კორპუსს, ხოლო, ერთი საცხოვრებელი კორპუსი თვიდან აშენდა. სპეციალური ავტოსადგომი მოეწყო ტურისტებისთვის. ასფალტის საფარი დაეგო ცენტრალურ ბაზრამდე. ძველი მცხეთის ტერიტორიზე, ძველი, ისტორიული სახის შენარჩუნებით, სრულად შეკეთდა- გარემონტდა 112 საცხოვრებელი სახლი. სახლებს შორის, ფეხით მოსიარულეთათვის დაეგო ქვაფენილი. სრულად გამოიცვალა კომუნიკაციის სისტემები. 2008- 2012 წლებში, მოხდა მცხეთის რაიონის სრული გამრიცხველიანობა. სოფელ ფრეზეთში და წილკანში გაკეთდა ხიდები, მცხეთის რაიონში აშენდა თანამედროვე სტანდარტების სამი ახალი ბაგა-ბაღი, ორი საჭიდაო დარბაზი და მინი სტადიონები. ასევე სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა მცხეთის რაიონში მდებარე ყველა ბაგა-ბაღს.

აქვე მინდა აღვნიშნო რომ მცხეთის რამდენიმე სოფელში დღემდე რჩება შიდა გზების პრობლემა მოუგვარებელი. მოუგვარებელია ასევე წყლის და ელექტროგაყვანილობის პრობლემები. არ არის საბავშვო ბაღები და მოედნები. მიუხედავად ამ და კიდევ მრავალი სხვა მოუგვარებელი და მოუწესრიგებელი პრობლემებისა, ბოლო 3-4 წლის განმავლობაში მცხეთამ ვერ მოახერხა აეთვისებია ბიუჯეტის თანხები, რომელიც ამ პრობლემის მოგვარებისთვის სრულიად საკმარისი იქნებოდა, ვფიქრობ, ეს არის რაიონის მიმართ უპასუხისმგებლო და უთავბოლო დამოკიდებულება.

ჩემს მიერ დაწყებული ბევრი საინტერესო პროექტი დარჩა განუხორციელებელი, რაც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ იქნა უგულებელყოფილი. ვფიქრობ, რომ მქონდა სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტები, მნიშვნელოვანი მცხეთის განვითარებისთვის და სასარგებლო მცხეთელებისთვის. **ჩემი გადეპუტატება დღეს ერთადერთ მიზანს ემსახურება — ყველა დაწყებული პროექტი, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ იქნა უგულებელყოფილი, აღდგეს. მცხეთა და მცხეთელები იმსახურებენ უკეთეს პირობებში ცხოვრებას.**

მე პატივს ვცემ წინამორბედ დეპუტატებს, გუბერნატორს — უბრალოდ, მაქვს ჩემი შეხედულება და ვფიქრობ, რომ დღეს ვჭირდები მცხეთას. ვნახოთ. მომავალი გვიჩვენებს, სწორი იყო ჩემი გადაწყვეტილება თუ არა. ყოველ შემთხვევაში, მინდა ყველა დარწმუნდეს, რომ ჩემი გადეპუტატება არანაირად არ უკავშირდება ჩემს ბიზნესინტერესებს.

მცხეთა საქართველოში ერთ-ერთი უნიკალური ადგილია და გარდა იმისა, რომ არის ჩვენი სულიერების ცენტრი, ამავე დროს არის დიდი პოტენციალის ქალაქი.

თავის დროზე, შეიძლება, მეც ვერ გავაკეთე ყველაფერი ისე, როგორც საჭირო იყო, მაგრამ ძალიან რთული პერიოდი იყო. არც ერთ რეგიონს ცენტრალური გზა არ ჰქონდა, არ იყო მცხეთის სოფლებში წყალი, გზა, გაზი. არ იყო საშუალება ყველაფრის გაკეთების. დღეს პირიქითაა. ყოველ წელს აუთვისებელი ხარჯები ბრუნდება ბიუჯეტში. ასეთი ქალაქი გვქონდეს და ასეთ დღეში იყოს — სირცხვილია.

— ანუ დაგიჭერენ მხარს?

— ყველა ნახავთ, რომ მცხეთელები მე ამირჩევენ. იცის მოსახლეობამ, რისი გამკეთებელი ვიყავი და ვარ მე. იციან, რომ მხოლოდ სიკეთე მინდა მცხეთისთვის.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„ცენტრისტები“ კი გააძევეს საარჩევნო მოედნიდან, მაგრამ ვინ გააძევებს ცესკოდან მის თავმჯდომარეს თამარ ჟვანიას, როგორც ამბობენ, „ცენტრისტებისგან“ ...

„ცენტრისტები“ საარჩევნო მარათონიდან ჩახსნეს...

„ცენტრისტების“ წინასაარჩევნო კლიპი არ მოეწონათ რიგ პოლიტიკურ ძალებს და ჰოი, საოცრებად, ისე „დაემთხვა“, რომ „ცენტრისტები“ უცაბედად გააძევეს საარჩევნო მოედნიდან...

თავის დროზე პარტია „ცენტრისტები“... ცეესკოს თავჯდომარის, ქალბატონ თამარ ჟვანიას ხელმოწერით დარეგისტრირდა საარჩევნო კოდექსის თანახმად, რეგისტრაციის განცხადებას ხელს უნდა აწერდეს პარტიის ხელმძღვანელი პირი და ასევე ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი საარჩევნო კომისიაში... ანუ, როგორ იყო საქმე, ქალბატონო თამარ, წარმოდგენილ განცხადებას აწერდა ეს ორი ადამიანი ხელს? ანუ, თავის დროზე ჰყავდა პარტიას ხელმძღვანელი პირი? თუ ნებისმიერს შეუძლია მოვიდეს და გითხრათ, რომ ის არის პარტიის ხელმძღვანელი პირი და ასე სიტყვაზე ენდობით?

რეგისტრაციიდან მოხსნის მიზეზად ხომ ის დაასახელეთ, რომ პარტიას თურმე არ ჰყავდა ხელმძღვანელი პირი... და საჯარო რეესტრიც დაადანაშაულეთ, არ მომაწოდა შესაბამისი დოკუმენტაცია დროულადო... რამდენად დროულად არ მოგაწოდათ, ქალბატონო თამარ? წინასაარჩევნო კლიპის გასვლამდე არ მოგაწოდათ? ვაი, ვაი... ცუდები ეგენი... როგორ გაგიბედეს...

ანუ, ამ კლიპის გასვლამდე და რიგი პარტიების მხრიდან, „ცენტრისტების“ საარჩევნო მარათონიდან მოხსნის მოთხოვნამდე, ჰყავდა პარტის ხელმძღვანელი პირი და მერე აღარ ჰყავდა? ანუ, ეს შეცდომაა ქალბატონო თამარ? ანუ, ცეესკოს და საჯარო რეესტრს კომუნიკაციის პრობლემა აქვს???

თუ ცეესკოს და საჯარო რეესტრს კომუნიკაციის პრობლემები გაქვთ, მაშ, რა ვუყოთ საარჩევნო სიას? ვის ვანდოთ? რამდენიმე ათეულ დარეგისტრირებულ პარტიაზე თუ ვერ გაწოდებთ შესაბამის დოკუმენტაციას, მაშინ რამდენიმე ათას გარდაცვლილ ადამიანზე როდისღა მოგაწოდებთ ინფორმაციას, ქალბატონო თამარ? ან კიდევ უფრო მეტ 18 წელს მიღწეულ ამომრჩეველზე, როდის მიიღებთ ინფორმაციას და როგორ?

აგერ, ჩვენ, ჩვენივე თანამდებობის პირებთან ერთად ვცხოვრობთ თურმე კომუნიზმში, ქალბატონო თამარ — 21-ე საუკუნეში, ასე რთულია, საჯარო რეესტრის საიტზე შესვლა და ნახვა, ვინ როდის, რომელ დღეს, საათსა და წამზე დარეგისტრირდა? თუ ისევ ფოსტას და მტრედს ველოდებით ბარათით? 21-ე საუკუნეში პარტიას არეგისტრირებთ, აკეთებინებთ კლიპს და უშვებთ საზოგადოებრივ მაუწყებელზე, მერე ხსნით ამ პარტიას არჩევნებიდან და პასუხისმგებელი ამაზე არავინაა? 21-ე საუკუნეში შესაძლებელი იყო ეს პარტია მოხვედრილიყო პარლამენტში, მიეღო მონაწილეობა კანონპროექტების შემქნაში და მერე რომ აღმოეჩინა ვინმეს, რომ უი, არ ჰყოლია ხელმძღვანელი პირი, ის კანონპროექტებიც გაუქმდებოდა, რასაც მიიღებდნენ, თუ როგორ იქნებოდა საქმე, ქალბატონო თამარ?

რა ვუყოთ ახლა იმ კლიპს და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერის გახარჯულ ათ წამს, ქალბატონ თამარს მივართვათ, თუ ქალბატონ თამარს გადავახდევინოთ? არ გაუჭირდება, ღმერთმანი, „საზოგადოებრივი ინიციატივის“ მონიტორინგის თანახმად, მხოლოდ ერთი წლის მანძილზე ქალბატონმა თამარმა თანამდებობრივი სარგოს სახით მიიღო 130 727 ლარი, პრემია 56 6882 ლარი, დანამატი 56 855 ლარი და სამივლინებო ხარჯი 47 810 ლარი...

ანუ, ისე კარგად მუშაობს ცეესკო, რომ პრემიას პრემიაზე და დანამატს დანამატზე იწერს? ეს მივლინებებიც, ალბათ, კვალიფიკაციის ასამაღლებლად დასჭირდათ, ჰო? კვალიფიკაცია კი გქონიათ, ღმერთმანი, შესაშური...

ხმაშეწყობილად რომ იმუშავებს ცეესკო, ეს ცხადია, იმიტომ რომ, იმავე ორგანიზაციის მონიტორინგის თანახმად, ქალბატონმა ჟვანიამ თავისთან დაასაქმა დედმიშვილი, ორთავე შვილი, შვილის მეჯვარე, შვილის მეგობრები, სიძის და, მაზლის ცოლი, სიძის ნათესავი, ქმრის ნათესავი... და რატომ არ უნდა იმუშავონ, გენაცვალე, ხმაშეწყობილად და ტკბილად, ერთი ოჯახია ფაქტობრივად...

მაინც ვინ მფარველობს ასეთი ქალბატონ თამარს, რომ უყეფენ, უყეფენ და ის მაინც თამამად მიუძღვება ქარავანს?

მაინც ვის მფარველობს ქალბატონი თამარი, რომ საკმარისია რიგმა პოლიტიკურმა ძალებმა პარტიის მოხსნა მოითხოვონ ხმამაღლა არჩევნებიდან და პარტიაც მოხსნილია?

„სამართლიანმა არჩევნებმა“ სარჩელი გააცუქცუქეს საქალაქო სასამართლოში „ცენტრისტების“ საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების შესახებ... ეტყობა, ისინიც კი, არ ელოდნენ ქალბატონი თამარის ესოდენ გულუხვ საჩუქარს...

ჰოდა, „სამართლიან არჩევნების“ არგუმენტები ამომარჩეველთა მოსყიდვის შესახებ არ გაიზიარა სამოქალაქო სასამართლომ და მოგვახსენა: ცენტრისტებმა ამომრჩევლებს შესთავაზეს მათი ხედვა, თუ როგორი იქნება სახელმწიფოს სოციალური (საპენსიო) პოლიტიკა არჩევნებში მათი გამარჯვების შემთხვევაში და ეს არ არის მოსყიდვაო...

მე არც „ცენტირტების“ მომხრე ვარ, არც სამოქალაქო სასამართლოს მოტრფიალე, მე მხოლოდ ის მაინტერესებს „სამართლიან არჩევნებში“ დასაქმებულმა იურისტებმა საარჩევნო კოდექსი თუ არ იციან, სოციალური პოლიტიკის არსის განსაზღვრა თუ არ შეუძლიათ, ცეესკოს და საჯარო რეესტრს თუ კომუნიკაცია საერთოდ არა აქვს, თუ ცეესკოს უფროოს შეუძლია ერთ დღეს კანონიერად სცნოს პარტიის ხელმძღვანელი პირის ხელმოწერა და მეორე დღეს უკანონოდ გამოაცხადოს, ამ ფონზე, როგორ ვაპირებთ არჩევნების ჩატარებას? ამ ფონზე, რა სინდისით იწერს თამარ ჟვანია პრემიებს და დანამატებს? და საერთოდაც, როდის გადადგება ან გადაყენებენ, ამ ვაი, უფროსებს თავისი სანათესაო-ია-მოყვრებიანად?

ყოველივეე ამის შემდეგ რას ეტყვის უსუფაშვილი ამ ევროკავშირს, მართალია, ვარღვევთ ადამიანის არჩევანის ნებას, ვარღვევთ აზრის გამოთქმის უფლებას, ვარღვევთ სიტყვის თავისუფლებას, ვარღვევთ ევროკონვენციას, მაგრამ, სამაგიეროდ კონსტიტუციაში ჩავწერ, რომ ევროკავშირი მართლა გვინდაო? თუ აუხსნის, როგორ „შეატყუეს“ ცეესკოს კვალიფიცირებულ თავმჯდომარეს ხელმძღვანელი პირის ხელმოწერა, როგორ ვერ გახსნა საჯარო რეესტრის საიტი დროულად, როგორ ცუდად მუშაობს საჯარო რეესტრი და ცეესკო, მაგრამ ვერ ვსჯით, ვერც ვანთავისუფლებთ თანამდებობებიდან... ჩვენიანები არიან და იმიტომო?

მე, ქვეყნის რიგითი მოქალაქე, ვითხოვ, გადადგეს ცეესკოს თავმჯდომარე, გადადგომისთანავე დააბრუნოს ყველა პრემია, სარგო და სამივლინებო ხარჯი, (არ ეკუთვნის და იმიტომ) დაბრუნოს იმ თავისი ნათესავებ-მოყვრებისთვის გადახდილი ხელფასები (არც მათ ეკუთვნოდათ და იმიტომ) და კარგა გვარიანი ჯარიმაც გადაიხადოს სამსახურეობრივი გულგრილობისათვის...

მართალია, ამ შემთხვევაში, ქალბატონი თამარის ქცევა, გულგრილობა კი არა, ზუსტადაც რომ გულთბილობა იყო, მაგრამ ასეთი ჩანაწერი კანონში არ არსებობს, მე კი, თანამდებობის პირებისგან, იურისტებისგან, ცეესკოს თანამშრომლებისგან განსხვავებით, პატივს ვცემ ჩემი ქვეყნის კანონებსა და კონსტიტუციას...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

ნარმოშობით ქართველი ხურშიდ აჰმედ-ფაშა - დიდი ოსმანი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

ხურშიდ აჰმედ-ფაშა კავკასიაში დაიბადა და ქართული წარმომავლობის იყო. სიყმაწვილეში სტამბულში ჩაიყვანეს, სადაც იანიჩართა კორპუსში ჩაირიცხა. მან სულთან მაჰმუდ II-ის კეთილგანწყობა მოიპოვა და წლების განმავლობაში რამდენიმე მაღალი სახელმწიფო თანამდებობა ეკავა.

1802 წელს, ეგვიპტიდან საფრანგეთის ჯარების ევაკუაციის შემდეგ, ხურშიდ-ფაშა უდიდესი საპორტო ქალაქის ალექსანდრიის ბეიდ დაინიშნა. 1804 წლის მარტში ის დაინიშნა ეგვიპტის ოსმანთა ფაშად (გუბერნატორად). მისი მოადგილე მუჰამედ ალი-ფაშა გახდა, ალბანელთა საჯარისო ნაწილების მეთაური. მუჰამედ ალი-ფაშა ხელმძღვანელობდა ქაიროს თავდაცვას, რომელსაც ოთხი თვის განმავლობაში თავს ესხმოდნენ აჯანყებული მამელუქები. მან აიძულა მამელუქები, მოეხსნათ ალყა და უკან დაეხიათ.

ამ პერიოდში მუჰამედ ალის პოპულარობა

მოსახლეობას შორის ძალიან გაიზარდა. 1804-1805 წლის ზამთარში იგი თავის ჯართან ერთად ზემო ეგვიპტეში მამელუქებს ავიწროებდა. ამასობაში, ოსმანთა ფაშამ აჰმერ-ხურშიდმა აღადგინა თურქული უღლის ყველა საშინელება: კონსტრიბუცია დაადო მოქალაქეებს, აიყვანა მძევლები და ერთი წლით წინასწარ გაღატაკებული სოფლებიდან აკრიბა მოსაკრებელი.

1805 წლის მაისში ქაიროში აჯანყებამ იფეთქა. აჰმედ-ხურშიდ ფაშა ჩამოაგდეს და ძალაუფლება ჩამოართვეს. შეიხთა საკრებულომ ეგვიპტის მმართველად მუჰამედ ალი-ფაშა გამოაცხადა. ოსმანთა სულთანი სელიმ III იძულებული იყო, იგი ეგვიპტის ფაშად ელიარებინა.

1809 წლის მარტში აჰმედ ხურშიდ-ფაშა სერბიაში გაგზავნეს ალბანელების აჯანყების შასახშობად, რომელსაც ყარაგიორგი ხელმძღვანელობდა.

1812 წლის 5 სექტემბერს აჰმერ ხურშიდ-ფაშა ოსმანთა იმპერიის დიდ ვეზირად დაინიშნა.

იგი სერბიაში რჩებოდა, სადაც სერბთა აჯანყებასა და 1813 წლის ოქტომბერში ბელგრადის აღებას ხელმძღვანელობდა, როგორც თურქეთის ჯარების მთავარსარდალი. იმავე წელს ხურშიდ-ფაშა ბოსნიის გუბერნატორად დაინიშნა და მონაწილეობას იღებდა სერბთა მეორე (1815-1817 წწ.) აჯანყებაში, რომელსაც მილოშ ობრენოვიჩი ხელმძღვანელობდა.

1820 წლის ნოემბერში ხურშიდ-ფაშა მორეის (პელოპონესი) გუბერნატორად დაინიშნა. მისი რეზიდენცია ტრიპოლიში მდებარეობდა. ასევე იგი დაინიშნა თურქეთის ჯარის მეთაურად, რომელსაც იანინელი ალი-ფაშას აჯანყება უნდა ჩაეხშო.

1821 წლის იანვარში აჰმედ ხურშიდ-ფაშა ჯართან ერთად ტრიპოლიდან ჩრდილოეთისკენ გაემართა, რეზიდენციაში კი ხაზინა და ჰარემი დატოვა. მისი მოადგილე მეჰმედ სალიხი ათას ალბანელთან ერთად დატოვებული იყო მორეიში პროვინციაში წესრიგის შესანარჩუნებლად. მიუხედავად ამისა, რამდენიმე თვის შემდეგ, როცა ოსმანთა ჯარმა იანინას ალყა შემოარტყა, საბერძნეთში თურქების წინააღმდეგ მიმართულმა დიდმა ბერძნულმა აჯანყებამ იფეთქა.

სარასკირმა ხურშიდ-ფაშამ სულთანს საბერძნეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ აცნობა და ხელისუფლების ბრძანების გარეშე დაავალა თურქ მხედართმთავრებს ომერ-ვრიონსა და კოცა მეჰმერ-ფაშაც ჩაეხშოთ ცენტრალურ საბერძნეთში მიმდინარე აჯანყება, თვითონ კი იანინას აღების შემდეგ გეგმავდა პელოპონესზე თავდასხმას, რათა ჩაეხშო აჯანყება თავის პროვინციაში. მან ადგილობრივი გარნიზონის გასაძლიერებლად ტრიპოლიში გაგზავნა მუსტაფა-ბეი 3-ათასიანი რაზმით. თავად ხურშიდ-ფაშა იანინას მიდამოებში იმყოფებოდა, სადაც ციხესიმაგრის ალყას ხელმძღვანელობდა. ომერ-ვრიონმა და კოსა მეჰმედმა ვერ მოახერხეს ცენტრალურ საბერძნეთში აჯანყების სწრაფად ჩახშობა. ხანგრძლივი ალყის შემდეგ ბერძენთა რაზმებმა თეოდორას კოლოკოტრონის ხელმძღვანელობით 1821 წლის 23 სექტემბერს ტრიპოლი აიღეს, სადაც მდებარეობდა ხურშიდ-ფაშას რეზიდენცია.

1822 წლის იანვარში თურქეთის ჯარებმა აჰმედ ხურშიდ-ფაშას მეთაურობით აიძულეს ქალაქი იანინა, დანებებოდა. იანინელი ალი-ფაშა შეიპყრეს და დასაჯეს. ხურშიდ-ფაშამ სამხრეთ ალბანეთში აჯანყების ჩაქრობით დიდი ძალები მოიკრიბა საბერძნეთის აჯანყების ჩასახშობად. მაგრამ მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა სტამბოლში, რომლებიც მისი გაძლიერებით შეშფოთებულნი იყვნენ, ალი-ფაშას ქონების უკანონო მითვისებაში დაადანაშაულეს. ხურშიდ-ფაშამ სტამბოლში 40 მილიონი პიასტრი გაგზავნა წერილთან ერთად, რომ ისინი ალი-ფაშას სამალავებში იპოვეს, იმ დროს, როცა სულთანის მინისტრებმა განაცხადეს, რომ იანინას ფაშას ქონება 500 მილიონი პიასტრი იყო. ხელისუფლებამ ხურშიდ-ფაშას მოსთხოვა დაწვრილებითი ანგარიში, მაგრამ მან ამაზე უარი განაცხადა. მალევე იგი დაადანაშაულეს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში და თანამდებობა დაატოვებინეს. მორეის ახალ გუბერნატორად და ოსმალეთის არმიის მთავარსარდლად მაჰმედ დრამალი ფაშა დაინიშნა.

1822 წლის ივლისში გადამწყვეტ ბრძოლაში დერვენაკიასთან ახლოს, თურქეთის არმიამ მაჰმუდ დრამალის მეთაურობით, საბერძნეთის ჯარისგან მარცხი განიცადა და 20 ათასზე მეტი ადამიანი დაკარგა. თურქეთის სულთანმა ხურშიდ-ფაშას უბრძანა, თურქეთის ჯარის მეთაურობა აეღო ხელში და სიტუაცია გადაერჩინა. თუმცა, ხურშიდ-ფაშას მოწინააღმდეგეები აგრძელებდნენ სამეფო კარზე მის წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვას. მტრებმა აგენტები გაგზავნეს ხურშიდის მოსაკლავად, მან შეიტყო მისი სიცოცხლის ხელყოფის მცდელობის შესახებ, მაგრამ ამის თავიდან ასაცილებლად არაფერი გაუკეთებია. პირიქით, 1822 წლის 30 ნოემბერს შხამი მიიღო და ისე დაასრულა სიცოცხლე.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

იოსებ არჩვაძე:

წიგნიდან „მხოლოდ მაჯამა!“

მართალი სიტყვის ბედი

მართალ სიტყვას ფასი ადევს
ერთნაირი — „გრძელს“ და „მოკლეს“,
თავის სათქმელს ყველგან იტყვის
სადმე თქმისას თუ არ მოკლეს...

„სინერგია“

ჭკუა — ტვინსა და გონებას,
ძალა — მუშტსა და მკლავს!
მათი ერთობა მაცოცხლებს,
გათიშულობა — მკლავს...

ემიგრანტს

წარსულის სევდის იარას მოგიწევს ცრემლით უბანო,
იქ დაგრჩა და-ძმა, მშობლები და პაპის სახლი უბანო;
ვინძლო, ოდესმე დაბრუნდე, იარო უბან-უბანო
და ქალაქს გულში უმღერო სიმღერა ჩუმი, უბანო...

დიდ მსახიობს

სიცოცხლეშივე — დიდი ვარსკვლავი,
გასაოცარი ოსტატი, მეტრი;
როს მოკვდა, დარჩა: ხალხში — ლეგენდად,
მას თავად — მიწა, ორიოდ მეტრი...

„კალვერა“ და მისი ბანდა

მშვენიერ და ლამაზ კუთხეს,
სადაც წვიმაც მზეს პირს ბანდა,
მოტყუებით თავს მოაჯდა
„კალვერა“ და მისი ბანდა...

საქართველო — „შემდგარი ქვეყანა“

მანამ იძახა მიშიკომ, რომ „სახელმწიფო შედგა“,
სანამ: დათვივით ქვეყანა საქართველოს არ შე(ს)დგა
(გამოსცდა ცხინვალს, მერე გორს, ძლივს იგოეთთან შედგა...)
და შეკვეცილი სამშობლო უფრო მეტად არ შედგა...

„მიშური მისტერია...“

ადრე იყო ტლუ, „პლებეი“,
დღეს — მინისტრი, მისტერია!
მედროვეა, თუმც მას გმირად
თვლის მიშური მისტერია...

თანამედროვე ქართული მედია

გაყიდულია მედია: ელექტროც, პრესის ორგანოც,
მოვლენას ისე აშუქებს, ვით სთხოვს „ზემდგომი ორგანო“,
სხვის აზრი იქა ჰკიდია, სადაც კაცს — ერთი ორგანო;
პიარი ყველგან „პურსა ჭამს“, სიმართლე — ერთი-ორგან-ო!..

და მაინც...

ჩემი მიწა, ჩემი ხალხი,
მთა-ბარი და მინდორ-ველი —
დალაგდება, გალაღდება,
აყვავდება, — მჯერა, ველი...

ვოლტერის თანამედროვე და კრიმინალური პარიზის მეფე

1962 წელს ფრანგმა კინემატოგრაფისტებმა გადაიღეს სათავგადასავლო ფილმი თავიანთი ცნობილი თანამემამულის დომინიკ კარტუშის შესახებ. მთავარი როლი ჟან პოლ ბელმონდომ ითამაშა. მაგრამ რეალური კარტუშის ამბავი ძალიან განსხვავდებოდა მისი ცხოვრების შელამაზებული კინოვერსიისგან, რომელიც XX საუკუნის სცენარისტებმა და რეჟისორებმა ფილმში აღბეჭდეს...

ვოლტერის თანამედროვე

კარტუში-კინოგმირი გასული საუკუნის 60-იანი წლების მამაცი ყაჩაღია, პარიზის ჯურღმულების „რობინ ჰუდი“, ყველა ასაკის და სოციალური ფენის წარმომადგენელი ქალის საყვარელი მამაკაცი. კარტუშს ყველგან თან ახლავს ერთგული მეგობრები და იღბალი არასოდეს ტოვებს მას. ულევ წყაროდ მოედინება ღვინო და ოქრო, მდიდრები შიშით ძრწიან მისი სახელის გაგონებაზე, ღარიბები კი თავიანთი კეთილისმყოფელის სახელს იფიცებენ. საფინალო კადრში კი მშვენიერი ქალბატონი (კლაუდია კარდინალე) სიხარულით

სწირავს საკუთარ სიცოცხლეს სამარცხვინო სიკვდილისგან შეყვარებულის გადასარჩენად.

ფილმი სახალისო და სასიამოვნო გამოვიდა, მაგრამ, ალბათ, საინტერესო იქნებოდა იმის გაგება, რეალურად ვინ იყო ბელმონდოს კინოგმირის პროტოტიპი.

1693 წლის ოქტომბერში ღარიბი პარიზელი ცხენების აღკაზმულობის ოსტატის ფრანსუა ლუი კარტუშის სიტყვების თანახმად, ქალაქის სარეგისტრაციო წიგნში გაკეთდა ჩანაწერი მის ოჯახში ვაჟის დაბადების შესახებ, რომელსაც ლუი-დომინიკ კარტუში დაარქვეს.

თოთხმეტი წლის რომ შესრულდა, დომინიკი იეზუიტთა სკოლაში მიაბარეს, სადაც ვოლტერთან ერთად სწავლობდა. თუმცა, ეს ფაქტი კარტუშს ნაკლებად დაეხმარა ცხოვრებაში. თანაკლასელები დასცინოდნენ და ყველანაირად ამცირებდნენ ღარიბ ბიჭუნას. ბოლოს და ბოლოს, მან ვეღარ გაუძლო ზეწოლას, მიატოვა სწავლა და მოხეტიალე აკრობატების დასს შეუერთდა.

თითქოს კარტუშმა საკუთარი ადგილი იპოვა — არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალისა და ბრწყინვალე სამსახიობო მონაცემების წყალობით მან ბევრი მეგობარი შეიძინა. მაგრამ მის გეგმებში მოხეტიალე დასის მსახიობობა არ შედიოდა.

დამნაშავეთა ქსელი

რამდენიმე ხნის შემდეგ დომინიკ კარტუში დამნაშავეთა სამყაროში ახერხებს მოხვედრას და იწყებს პროფესიული ქურდობის „ათვისებას“. მალე იგი საკუთარ მასწავლებლებს ჯობნის და მის სახელს უკვე ძალიან ხმამაღალ ძარცვებს უკავშირებენ.

პოლიციისგან თავის დაღწევაში კარტუშს სამსახიობო მონაცემები ეხმარება. მას ადვილად შეეძლო გარდაქმნა: ჯურღმულებში ისე გამოიყურებოდა, როგორც გალოთებული მაწანწალა, ხოლო პრესტიჟულ რაიონებში — როგორც მდიდარი მოქეიფე ვაჭარი. შეეძლო ყოფილიყო მღვდელი, უცხოელი მოგზაური, ლაქია, სამეფო კართან დაახლოებული დიდგვაროვანი, მეეტლე, ჯარისკაცი ან მდიდარი უსაქმური. მას ნებისმიერი როლის მორგება შეეძლო, ხოლო აკრობატული მომზადება ყველაზე უჩვეულო სიტუაციებიდან თავის დაღწევის შესაძლებლობას აძლევდა.

მაგრამ ყველაზე არაჩვეულებრივმა მონაცემებმაც კი ვერ შეძლეს მისი შურისძიებისგან დაცვა. მან ძალიან სწრაფად გადაწყვიტა, რომ არსებობს ორი ჭეშმარიტება: „კადრები წყვეტენ ყველაფერს“ და „ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება“. კარტუშმა ერთმანეთთან დააკავშირა ეს ორი ცნება და დაიწყო ადამიანების „ყიდვა“. ბელმონდოს გმირის მსგავსად როდი ურიგებდა ის ღარიბებს ფულებს. იგი გონიერად, მომავლის გათვლით აბანდებდა ნაპარავ კაპიტალს: მოისყიდიდა ჟანდარმს, რომელიც იმ სამეფო ბანკთან იდგა პოსტზე, რომლის გაძარცვასაც კარტუში აპირებდა, ფულს უხდიდა საფოსტო კარეტების მეეტლეებს, მდიდარ სახლებში მომუშავე მისამსახურეებს, სხვადასხვა საფინანსო დაწესებულებების კლერკებს, ექიმებს, რომლებიც მდიდარ პაციენტებს ემსახურებოდნენ. ექიმები მას აუცილებლად სჭირდებოდა, თუ მოულოდნელად პოლიციასთან პირისპირ შეჯახებები მოხდებოდა, დაჭრის გარეშე ვერ გადარჩებოდნენ.

იგი არაფრით ლახავდა პატიოსანი ადამიანების რეპუტაციას, მხოლოდ დიდ ფულს უხდიდა პატიოსან ადამიანებს, რათა საჭირო დროს მცირე სამსახური გაეწიათ მისთვის. მაგალითად, არ მისულიყვნენ სამსახურში ან ერთი წუთით გაეხედათ სხვა მხარეს. კარტუში ამ პატარა თხოვნის საფასურად ბევრ ფულს იძლეოდა და ამ პატიოსანი ადამიანების უმრავლესობა ადვილად თანხმდებოდა დამნაშავის წინადადებას.

ამგვარად, კარტუშმა მოკლე დროში შექმნა პარიზში ინფორმატორთა დიდი ქსელი. მისთვის ორი ათასზე მეტი ადამიანი მუშაობდა, რაც საშუალებას აძლევდა, განეხორციელებინა კარგად დაგეგმილი და მუდამ წარმატებული ძარცვები, რითიც დიდი რაოდენობით ფულსა და ძვირფასეულობას ისაკუთრებდა. ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი საქმე მეფის სასახლის ძარცვა იყო, როცა ძვირფასი თვლებით მოჭედილი ჭურჭელი, ძვირფასი შანდლები და რეგენტ გასტონ ორლეანელის პირადი დაშნა მოიპარესს.

საჯარო სასჯელი

ყველა მხრიდან რომ ყოფილიყო დაცული, კარტუში მოისყიდიდა თანამდებობის პირებს და უბრალო მოლაყბეებსაც კი. იგი ასევე ქირაობდა ათობით ადამიანს და მოითხოვდა მათგან, რომ პერიოდულად, ერთსა და იმავე დროს გამოჩენილიყვნენ პარიზის სხვადასხვა ადგილას, მისი სახელით წარედგინათ თავი და გამქრალიყვნენ. ზოგჯერ თავადაც იქცეოდა ასე. ეს პოლიციას გზა-კვალს ურევდა.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სამეფო გვარდიელების მთელი რაზმი შეიარაღებული მზადყოფნაში იყო ცნობილი ყაჩაღის შესაპყრობად. პარიზის სახლების ფანჯრებზე ლითონის მძიმე ცხაურები გაჩნდა. ბოლოს და ბოლოს, მეფემ დიდი გასამრჯელო დააწესა მისთვის, ვინც კარტუშს დააჭერინებდა.

კარტუშმა კარგად იცოდა, რომ ყველაფრის ყიდვა შეიძლება, მაგრამ დაავიწყდა, რომ ბევრი ფულის გამო ადვილად შეიძლება გაყიდვაც. ერთერთი მისი თანამოაზრე, ვინმე დიუშატლე მეფის ოქროს დახარბდა და თავისი მეთაური გაყიდა. პარიზის დამნაშავეთა სამყაროს მეფე საპყრობილეში აღმოჩნდა.

კარტუშს დიდხანს აწამებდნენ და კითხავდნენ, ცდილობდნენ მსოფლიოში უდიდესი ორგანიზაციის ყველა ძაფის გახსნას. მაგრამ მას იმედი ჰქონდა, რომ ადრე თუ გვიან, თანამებრძოლები მას ციხიდან გაიყვანდნენ და არაფერში ტყდებოდა. ხედავდნენ რა მის რწმენას იმაში, რომ მალე გაათავისუფლებდნენ, ყოველი შემთხვევისთვის იგი კონსერჟერის მიუვალ ციხეში გადაიყვანეს და დაკითხვები განაგრძეს. ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. რამდენიმე ხნის შემდეგ ლუი-დომინიკ კარტუშს ბორბალზე დაჭედება მიესაჯა. სასჯელი გრევის მოედანზე უნდა აღსრულებულიყო.

ბოლო მომენტამდე კარტუშს იმედი ჰქონდა, რომ ის ადამიანები, ვისაც პატიოსნად უყოფდა ნაძარცვს, მას სიკვდილისთვის არ გაწირავდნენ, მაგრამ დრო გადიოდა, ჯალათმა თავისი საქმე უკვე დაიწყო, ბრბოში კი არავითარი მოძრაობა არ შეინიშნებოდა. და ცნობილმა დამნაშავემ მწერალი მოითხოვა...

ორ საათზე მეტ ხანს დამნაშავეთა მეფე მწერალს კარნახობდა ჩადენილი დანაშაულების სრულ ანგარიშს. იგი ასახელებდა იმათ მისამართებს, სახელებსა და გვარებს, ვისაც მისგან თუნდაც მცირე თანხა მიუღია. დაწვრილებით აღწერილმა მისმა „ბოლო სიტყვამ“ 36 ფურცელი შეადგინა. სასჯელი ჯერ სისრულეში არ იყო მოყვანილი და პოლიციამ, მისი ჩვენებების საფუძველზე, უკვე 400 ადამიანზე მეტი დააპატიმრა, რომლებიც კარტუშის ბანდის წევრი იყო ან მასთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად აღიარებითი ჩვენებისა, ლუი-დომინიკ კარტუში იმავე დღეს დასაჯეს.

ამ ამბავს გაგრძელებაც აქვს. სასჯელის აღსრულებიდან რამდენიმე ხანში, ცხენების აღკაზმულობის ძველმა ოსტატმა საჯაროდ აღიარა, რომ დომინიკი მისი შვილი არ იყო. დიდი ხნის წინათ, უცნობმა ადამიანებმა, რომლებსაც ეტყობოდათ, რომ გავლენიანი პიროვნებები იყვნენ, მას შეხვეული ახალშობილი მიუყვანეს და მის სრულწლოვანებამდე დიდ ფულს უხდიდნენ. მართალია თუ არა ეს, ამას უკვე ვეღარასოდეს გავიგებთ...

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22


1. ამერიკელი პროზაიკოსი ლიტერატურული პრემიის მფლ.
2. სპილენძისფერი ბარეულ-მოსავლელი
3. რაიონი ფან

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

(გაგრძელება. დასაწყისი „საერთო გაზეთი #15)

კურტ იოჰან შპრენგელი (1766-1833 წწ) წერდა: „ეგვიპტელთა კულტურაზე უდავოდ დიდი გავლენა მოახდინა კოლხთა და ფინიკიელთა კულტურამ... პრომეთე იყო მათი მამამთავარი, ხოლო ოსირისი და სესოსტრისი მჭიდრო კავშირში არიან კოლხეთთან, ეგვიპტელებს იქიდან აქვთ გადაღებული მიწათმოქმედებისა და წამალთმცოდნეობის ხელოვნება... ეგვიპტელებმა კოლხებისა და ფინიკიელებისგან, მოგვიანებით კი ელინებისგან გადაიღეს ღვთაებები. ამრიგად, ძველ ეგვიპტელთა ღვთაებანი თითქმის ერთიანად კოლხური ჩამომავლობის არიან.“

არავინ დავობს, რომ წამალთმცოდნეობა სწორედ კოლხეთიდან (საქართველოდან) გავრცელდა მთელ მსოფლიოში და დაკავშირებულია კოლხეთის მეფის, აიეტის ასულ მედეასთან. სიტყვა „მედიცინა“ მედეადან მომდინარეობს, თუმცა „მედოს“ ბერძნულად მკურნალობის მცოდნეს, გრძნეულს, ბრძენს ნიშნავს.

ცნობილია, რომ ძველ კოლხეთში, ფაზისთან (დღევანდელი ფოთი) მედეას დედას, სეკატას გაშენებული ჰქონდა სამკურნალო მცენარეების ბაღი; ასევე, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ მიხედვით, მედეა ღამღამობით ტაძრის მახლობლად გვამებისა და წამლისთვის გამოსადეგ მცენარეთა შესაგროვებლად და ტაძრის გარშემო ხეტიალს იყო მიჩვეული (ალბათ, ფაზისის ღვთაების, კიბელას ტაძარი იგულისხმება). Gასაგებია ცოცხალი ადამიანისებისთვის სამკურნალოდ თუ მოსაკვდინებლად, წამლისა თუ საწამლავისთვის მცენარეების შეგროვება, მაგრამ გვამს, ბუნებრივია, მხოლოდ უხრწნელობის შესანარჩუნებლად (ან ხანგრძლივად შესანარჩუნებლად) თუ დასჭირდებოდა წამალი. ამდენად, ეგვიპტელი ფარაონების მუმიფიცირებისა და მათი კავკასიურ, კონკრეტულად ქართველებთან გენეტიკური კავშირი კიდევ ერთი მარცვლით გაიზრდება, თუ ვიტყვით, რომ ეგვიპტეში იმ პირს, რომელმაც დაბალზამების საიდუმლო იცოდა „კოლხს“ უწოდებდნენ.

სიტყვამ მოიტანა — ცნობილი გერონტოლოგი მალხაზ აბდუშელიშვილი მძიმედ დაავადებულა და საშველი რომ ვერსად უნახავს ტიბეტში წასულა. რომ უთქვამს, საქართველოდან ვარო, მხრები აუჩეჩავთ, მაგრამ როდესაც კოლხეთი უხსენებია, გაოცებულან, კოლხეთიდან აქ რამ ჩამოგიყვანათ, დღემდე კოლხურ მედიცინას ვსწავლობთ და ჯერაც ვერ ჩავწვდომივართ მის საიდუმლოსო...

ალბათ, ბევრ ჩვენგანს აქვს ნანახი ლამაზი და ნაზი მცენარე სახელწოდებით „კოლხიკუმი“, რომელიც პირდაპირ მიანიშნებს, რომ მსოფლიოში კოლხეთიდან გავრცელდა, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, კოლხმა მედეამ სწორედ ამ მცენარისგან მოამზადა მსოფლიოში პირველმა საწამლავი.O(წყალი ლარნაკში, რომელშიც ეს ულამაზესი და უძვირფასესი ყვავილები გვიწყვია, შხამიანია და ამ მცენარესთან შეხების შემდეგ აუცილებლად გულმოდგინედ უნდა დავიბანოთ ხელები. სხვათაშორის, კოლხიკუმს კავკასიონის ქედის კახეთი-თუშეთის მონაკვეთის გადაღმაც შეხვდებით, თუმცა, სხვა სახელით მოიხსენიებენ, რომელიც, სამწუხაროდ, არ მახსოვს — კოლხიკუმის ველზე ცხენებით მოვდიოდით ფშავლისკენ დაღესტნიდან, ბაინდურის ნაბინავრიდან წამოსულები...)

ისიც ცნობილია, რომ აიეტის ასულმა მედეამ მამის კუთვნილი ტერიტორიის ერთ ნაწილში, კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე (სადაც ათასწლეულების შემდეგ შეიქმნა ირანის და არც ისე მრავალი საუკუნის წინ აზერბაიჯანი) შექმნა სამეფო, რომელსაც მის საპატივცემულოდ „მედეთი-მედია“ ეწოდა...

ძველი (V-VI სს) მიმომხილველები კასპიის ზღვის ნავთობით მდიდარ მხარეს მედეას, მეფექალის კუთვნილებას უწოდებენ. ინგლისურენოვან გამოკვლევებში აღნიშნულია, რომ ნავთობის ძველთაძველი სახელია „მედეა ზოილი“ — მედეას კუთვნილი ნავთობი.

ამა წლის 8 მაისს, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გადავაწყდი განცხადებას ფოტოს დართვით: „ეგვიპტური ჯვარი ანხი ნაპოვნია საქართველოში, კერძოდ, რაჭაში, მიწის დამუშავების დროს. ამ ჯვარს აყოლებდნენ ფარაონებს, სავარაუდოდ მამლუქების დროს არის შემოტანილი საქართველოში. ფასზე დავილაპარაკოთ. სიძველის დამადასტურებელი საბუთი გვაქვს.“ რას ყიდის ვიღაც, ძველ ეგვიპტურ ანხ-ს თუ ძველ სვანურ ანგ-ს, ჯერ კიდევ საკითხავია... უმთავრესი ის არის, ვინც მასზე სიძველის (ნეტავ, რამდენად ძველია?) დამადასტურებელი დოკუმენტი გასცა, რამდენად მართებულია, კანონი რას ეუბნება ასეთ შემთხვევაში, პატრონი მართლა არ ჰყავს ამ ქვეყანას?

სვანურთან შედარება „ერთჯერადი წამოცდენა“ არ ყოფილა — ძველეგვიპტური პაპირუსის ფოტოზე, სადაც გამოსახულია დედამიწა, ცა და „მარადიულობის ნავი“, (ღები და ნუტი) ჩვენთვის უკვე „ნაცნობი“ ბატის გამოსახულებისა და სხვა ნიშნების გარდა, გარკვევით ჩანს კიდევ ერთი „რაღაც“ იეროგლიფი, რასაც „ანგი“ ჰქვია სვანურად და „ანხი“ — ეგვიპტურად.

ქართველი მკვლევარები ისე არიან დათრგუნვილები უხილავი წნეხისგან, პირდაპირ ვერ დაურქმევიათ სახელი იმისთვის, რაც ხელისგულზე დევს ცხადად, მხოლოდ მოკრძალებულ ვარაუდებს გამოთქვამენ. რატომ არ უნდა იყვიროს ქართველმა, როცა მას უხსოვარი დროიდან აქვს სვანურ საწესო რიტუალებში ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი „ანგ-ი“ და აბსოლუტურად მისი სწორფერია ეგვიპტური იეროგლიფი „ანხ-ი“?

ელემენტარულად, საინტერესო მაინც უნდა იყოს იმის გარკვევა, რა კავშირშია ერთმანეთისგან აბსოლუტურად ყოველმხრივ დაშორებული ქვეყანა ეგვიპტე, მისი ცივილიზაცია და საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, სვანეთი და სვანური აგრარული დღესასწაულები „აღბა-ლაღრალი“ და „ლიმურყვამალი“.

ორივე სვანური დღესასწაულის მთავარი საწესო მოქმედება კოშკის აგებაა. კოშკის შუაში, მაღალ ხეზე, რომელსაც სვანურად „ანგ-ი“ ჰქვია, ხელმანდილიანი დროშაა აღმართული, თუმცა ზოგჯერ დამაგრებულია ადამიანის გამოსახულებაც „ლამარია“, რომელსაც ხელში დაშნა უკავია. წინ ხის ფალოსი აქვს ჩამოკიდებული, ხოლო სახის ადგილზე საცერი უკეთია.

აღნიშნული რიტუალის ცენტრალური ელემენტი, „ანგ-ი“, როგორც სიცოცხლის ხე მისტერიული დანიშნულებით, ფორმით და თვით სახელითაც, იდენტურია III დინასტიის ეგვიპტის სარიტუალო ნივთ „ანხ-ის“, რომელიც დღემდე მრავალი ქვეყნის მკვლევართა დიდი დაინტერესების საგანია. ანხი, რომელიც ასევე იწოდება „კრუქს ანსატ-ედ“, ანუ ტარიან ჯვრად, ძველ ეგვიპტეში ყველაზე გავრცელებული სიმბოლოა და III დინასტიიდან მოყოლებული ხშირად არის არქეოლოგიურ მასალებში. უამრავი ლითონის, თიხისა და ხის ანხია ნაპოვნი. მათი დიდი ნაწილი ამულეტია, რომელსაც უნდა უზრუნველეყო მფლობელის სიცოცხლის გახანგრძლივება, ხოლო გარდაცვალების შემდეგ იქაური სიცოცხლე. ანხი მეტწილად ღმერთებსა და ფარაონებს უკავიათ, ასევე ხშირად არის ეგვიპტური აკლდამების, მათ შორის ტუტ-ანხ-ამონის (თუთ-ანგ-ამონი) აკლდამის წარწერებში. ხშირად, სარიტუალო ჭურჭელსაც ანხის ფორმა ჰქონდა და იგივე ფორმას იმეორებდა სისტრა, მალამოს კოვზი და სარკე. აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, სარკესაც ანხს უწოდებდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთს ირეკლავენ.

ვინაიდან ეგვიპტის მოსახლეობის უმეტესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ეს ნიშანი მათთვის გასაგები ვერსიით — სანდლის ღვედები — გამოისახებოდა. მდაბიოთა მიერ გაკეთებულ ჭურჭელზე ხშირად იყო ანხის გამოსახულება. იგი გაჰყვა ყველა დინასტიას და კოპტურ ქრისტიანულ ეკლესიაშიც კი, როგორც ჯვარცმა, მისტიკური ძალის მქონე სიმბოლოს მნიშვნელობა შეინარჩუნა.

ანხის სავარაუდო ფუნქცია რთული სექსუალური სიმბოლიზმიდან უბრალო სანდლამდე მერყეობს. რადგან ანხი სიცოცხლის სიმბოლოა, მრავაგვარი გამოვლინებაც აქვს. ეგვიპტურ მითოლოგიაში, როდესაც ანხი ანუბისს უკავია, მიცვალებულთა სიცოცხლეს იცავს; სექმეთის, უარისა და ჰაპის ხელში — მაცოცხლებელ წყალთან კავშირშია; ღვთაება ამენის ხელში — სიცოცხლის შთაბერვას ემსახურება... ანხი ნილოსის არხის კედელზეც იყო გამოსახული, როგორც მისი დინების ადამიანთა სასიკეთოდ წარმმართველის.

„ანხი“ ძველ კემიტურ ენაზე „სიცოცხლეს“ ნიშნავს და როგორც სიმბოლო, ასოცირებულია არა მხოლოდ ღმერთებთან, არამედ ჰაერთან, მზესთან და წყალთან, რადგან ეგვიპტელები თვლიდნენ, რომ მათი მეშვეობით სიცოცხლის რეგენერაცია ხდებოდა. ანხი გამოსახულია გაბანვის რიტუალშიც, ორ ღმერთს შორის მდგომ ფარაონს, რომელთაგან ერთ-ერთი თოთია, ანხების ჯაჭვით გამოსახული წყალი ესხმება.

ანხი, როგორც სიმბოლო, იმ იეროგლიფების ჯგუფშია შედის, რომელთა მნიშვნელობა ჯანმრთელობა და ბედნიერებაა. ახლო წარსულში ანხი გამოიყენებოდა

ნაყოფიერებასთან დაკავშირებულ რიტუალებში, ამავე დროს, ანხი ოსირისისა და ისიდას, ცისა და მიწის კავშირს ასახავს. მისი მარჯუჟი მდედრის, ხოლო დაბოლოება მამრის გამომხატველი სიმბოლოებია, ძირითადი მნიშვნელობა კი ნაყოფიერება და კვლავწარმოებაა. (ახალი სამეფოს პერიოდის ზოგ ანხში მარჯუჟი თითქმის სამკუთხედად იქცა და ბოქვენს დაემსგავსა, ზოგ მარჯუჟში კი სულაც სამკუთხედია ჩახატული.)

შუმერული მითოსის მიხედვით, „ანქი“ სამყაროა, ადამიანის სახის მქონე ღვთაებათა — ცის ღვთაება „ან-ის“ და მიწის ღვთაება „ქი-ს“ კავშირი;

„ანოუკ“ - ეგვიპტური სიცოცხლის ღვთაება, აქედან „ანკ“ — სიცოცხლე (ებრაულად).

მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ „ანხი“ სიცოცხლის ხეა. რომ დავაზუსტოთ, შესაძლოა, ანხი მისი ერთ-ერთი გამოვლინებით ფოთლით დაბოლოებული სტილიზებული ხის რტოა. ამარნას პერიოდის რელიეფზე რამდენიმე ანხი მზის სხივთა დაბოლოებებზე გამოხატულ ხელის მტევნებს უპყრია და ეხნათონისკენ არის გაწვდილი, თავის მხრივ, ეხნათონიც ანხს იწვდის მზისკენ.

ეხნათონის შემდგომ პერიოდში დიდი ძალისხმევა განხორციელდა რეფორმატორი ფარაონის ნაღვაწის ამოსაძირკვად, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით ანხის მნიშვნელობასაც შეეხო, ანუ მზის როლმა კვლავ უკანა პლანზე გადაიწია. შედარებით უფრო ძველ ნიმუშებში ანხის ბოლო ორად გაიყო და სიმბოლო ადამიანის სტილიზებულ გამოსახულებას დაემგვანა. მთვარის სიმბოლოს ჰუმანიზაციამ ინდურში მიიღო სწორედ ანხის მსგავსი ნიშანი, რომელიც თავის მხრივ ჩამოჰგავს ნარამ-სუენას სტელაზე გამოსახულ მეფეს (სუენა-სინა-მთვარე), რადგან მას ხარის რქებიანი მუზარადი ახურავს. (სხვათაშორის, ასეთივე მუზარადი ეხურა ალექსანდრე მაკედონელს).

რაც შეეხება სვანურ მასალას — უპირველესად აღსანიშნია, რომ სქესიდან გამომდინარე, ფალოსი ვერ ჩაითვლება „ლამარიას“ ნაწილად, ამდენად, სავარაუდოა, რომ საცერი (წრე) და ფალოსი ასახავს მდედრისა და მამრის ერთობას, როგორც სიცოცხლის გაგრძელების აუცილებელ პირობას.

რაც შეეხება დაშნას — იგი გვიანდელი ელემენტია თუნდაც იმიტომ, რომ რიტუალი რკინის ხანაზე უხნესია. სავარაუდოა, რომ თავდაპირველად ანგ-ის ელემენტი იყო არა დაშნა, არამედ უძველესი მცირე მახვილი, აკინაკი, რომელიც განზრახ ფალოსის ფორმის იყო და სახელად „ყელე“ ერქვა.

ბუნებრივია, რომ უძველესი ცივილიზაციის ნაკვალევი უცხო არ არის სვანეთისთვის, ვთქვათ,

რამდენიმე ათასწლეულის წინანდელი შუმერული ღვთაებებისა და ტოპონიმების არსებობა: ენგური, ლახაში, ლახამულა, ლამარი და ა.შ (ცნობისათვის, „ანქ-იზე“ ერქვა ტროას სამეფოს; ლეგენდარული ენეასის მამას, „ანქ-იალე“ ერქვა ა.წ II საუკუნეში მაკრონჰენიოხთა გაერთიანებული სამეფოს მეფეს).

საინტერესოა, მსოფლიოს გასაგონად რატომ არ ყვირიან ქართველი მეცნიერები და მკვლევარები, რომ დღემდე უცვლელად შემორჩენილი სვანური რიტუალი შეიძლება დაითქვას ეგვიპტური „ანხ-ის“ მნიშვნელობის გასაღებად, რომელიც ნათელს მოჰფენს ერთ-ერთ საიდუმლოს? მითუმეტეს, რომ სვანურ „ანგ-სა“ და ეგვიპტურ „ანხ-ს“ შორის კავშირის დადგენამ შესაძლოა, სვანური „მურყვამის“ ასაკის განსაზღვრასაც შეუწყოს ხელი. (მთავარანგელოზის მურყვამობა (მურყვამ-კოშკი) ტარდება ხორციელის ხუთშაბათს).

გასულ წელს, ესპანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში არქეოლოგებმა დიდი თავადაცვითი სისტემა გათხარეს რომელიც ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის (2,2 ათასი წელი ჩვ.წ.აღ-მდე). აღმოჩენილ ნაქალაქარს ევროპის ყველაზე განვითარებული დასახლება უწოდეს, რომელიც კრეტა-მიკენის ცივილიზაციას შეეძლება შეედაროსო. არქეოლოგები განსაკუთრებით გააოცა თაღოვანმა დამხმარე ჭიშკარმა, რომლის მსგავსი ელემენტები მხოლოდ ტროასა და მასთან ახლომდებარე არქეოლოგიურ ძეგლებზე იყო შემჩნეული. გამოითქვა ვარაუდი, რომ ეს შესაძლოა, სიმაგრის მშენებლობაში აღმოსავლეთიდან მისულების მონაწილეობაზე მოწმობდეს. ამავდროულად, ხეთებმა, მიკენელებმა და ფინიკიელებმა (მაგალითად, უგარიტებმა) მსგავსი კონსტრუქციების გამოყენება თავიანთ სამხედრო არქიტექტურაში მხოლოდ 400-800 წლის (4-8 საუკუნის) შემდეგ დაიწყეს. ლაბასტიდას აღმოჩენებმა (რეზიდენციები, ქუჩაბანდები, დიდი აუზი 400 000 ლიტრი წყლისთვის და ა.შ) აჩვენა, რომ მისი ცივილიზაცია მაღალ სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ დონეზე იმყოფებოდა და სავარაუდოდ, დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა იბერიის ნახევარკუნძულის სხვა რაიონებზე, მაგრამ ამ საკითხის გასარკვევად, ჯერჯერობით ძალზე მწირი ინფორმაციაა მოპოვებული.

(სხვათაშორის, რაჭაში არის სოფელი სევა, სადაც 1963 წელს რუსი გეოლოგები რაღაც მიწისქვეშა ნაგებობას წააწყდნენ გეოლოგიური სამუშაოების დროს — მთის ფერდობზე მიწის მონაკვეთი ჩამოიშალა და უცნაური „ბლოკი“ გამოჩნდა, მიწისქვეშეთში არსებული რაღაც ნაგებობის ნაწილი. იმდენად მყარი არმოჩნდა „ბლოკი“, რომ მუშებმა ძლივს მოამტვრიეს მცირე ფრაგმენტი, რომელიც, რა თქმა უნდა მოსკოვში გაიგზავნა გამოსაკვლევად. როგორც იმხანად ითქვა, იმდენად აბსურდული აღმოჩნდა დასკვნა „ბეტონის ბლოკზე“ რომელიც ათასწლეულებს ითვლიდა, რომ აღარავინ დაინტერესებულა მისი რაობითა თუ წარმოშობით და როგოც ვხედავთ, არც არავის აგონდება არა მხოლოდ სოფელ სევაში არსებული უცნაური ადგილი მიწისქვეშეთში, არამედ სრულიად რაჭა, „ედენას ტევრი“, ისტორიული კოლხეთის „საღვთო მამული“...)

(გაგრძელება იქნება)

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— პაპაჩემი დამპირდა სახლის ჩუქებას. შემდეგ გადაიფიქრა და სახლი სხვა შვილიშვილს აჩუქა. ავალდებულებდა თუ არა მას ეს დაპირება სახლის ჩემზე ჩუქებას? სასამართლოში რომ შევიტანო სარჩელი, მოვიგებ თუ არა პროცესს?

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ, თუ იგი წერილობითი ფორმითაა დადებული.

აქედან გამომდინარე, თუ პაპა ბინის ჩუქებას წერილობით დაგპირდათ, სავარაუდოდ, პროცესს მოიგებთ. მხოლოდ სიტყვიერი დაპირება არ წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას.

* * *

— შემიძლია თუ არა, თანხა გავასესხო პროცენტით?

— დიახ, შეგიძლიათ.

მუხლი 625. პროცენტი სესხისათვის

სესხისათვის მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი.

* * *

— შეიძლება თუ არა არასრულწლოვანმა სასჯელის მოხდის პერიოდში იმუშაოს?

— შეიძლება.

თქვენთვის საინტერესო საკითხს ამომწურავად პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 85-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

მუხლი 85. არასრულწლოვნის მუშაობის შესაძლებლობა

1. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების უფლება.

2. არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული მუშაობს სწავლისაგან თავისუფალ დროს. ამასთანავე, სწავლისა და მუშაობის დრო არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს.

3. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას. დასაშვებია, არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების გარეთ იმუშაოს.

4. არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული შეიძლება ასრულებდეს მხოლოდ ისეთ სამუშაოს, რომელიც ხელს შეუწყობს გათავისუფლების შემდეგ მის პროფესიულ მომზადებას და დასაქმებას, აგრეთვე ხელს არ შეუშლის მის მიერ განათლების მიღებას.

5. დაუშვებელია არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმება.

* * *

— წარმოშობს თუ არა სამართლებრივ შედეგებს ჯვრისწერა?

— არა, არ წარმოშობს. დაგიკონკრეტებთ:

მუხლი 1151. ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობა

მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირებული ქორწინება.

* * *

— არის თუ არა ვალდებული მემკვიდრე, გაისტუმროს მამკვიდრებლის ვალები?

— დიახ, ვალდებულია.

დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484— მუხლის 1— ლი ნაწილის მიხედვით, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.

ამავე კოდექსის მე—2 ნაწილის მიხედვით, თუ მამკვიდრებელი მემკვიდრეებზე გადასული ვალებით სოლიდარულად მოვალე იყო, მაშინ მემკვიდრეები სოლიდარულად აგებენ პასუხს.

ამავე მუხლის მე—3 ნაწილის მიხედვით, მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხისმგებელნი არიან სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეებიც.

* * *

— -ვის მიერ უნდა მოხდეს განქორწინების მოწმობის გაცემისას ბაჟის გადახდა?

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1131-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელმა მეუღლემ უნდა გადაიხადოს კანონით განსაზღვრული ბაჟი, ასევე, თუ საჭიროდ მიიჩნევს, რომ ბაჟი უნდა გადახდეს ორივე მეუღლეს, იგი განსაზღვრავს თითოეული მეუღლის მიერ გადასახდელ თანხას.

ქართველები რიოს ოლიმპიადაზე

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com